მაია ბლიაძე



მდგრადი განვითარების მიზნები

მაია ბლიაძე

გეოგრაფიის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი

მდგრადი განვითარების მიზნები

თბილისი

2022

„განათლება მდგრადი განვითარებისათვის“, როგორც სასწავლო დისციპლინა, ბევრი უნივერსიტეტის კურიკულუმშია გათვალისწინებული, გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთა ინტეგრირება საგნობრივ მიმართულებებეთან სავალდებულოა სასკოლო სასწავლო პროგრამაშიც, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ნაშრომი დიდი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მასწავლებლებს და ამ საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რეცენზენტები:

შორენა ტყემალაძე – განათლების დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

ნატო ქობულაძე – განათლების აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნინო ფეტვიაშვილი – ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ პროფესორი, მასწავლებლის პროგრამების ხელმძღვანელი

დამკაბადონებელი – თამარ ქავჟარაძე

© ევროპის უნივერსიტეტი

სარჩევი

წინასიტყვობა 6

1. რა არის მდგრადი განვითარება? 7

2. როგორ ყალიბდებოდა მდგრადი განვითარების კონცეფცია? 16

2.1. მდგრადი განვითარების სათავეები 16

2.2. საერთო რესურსების ტრაგედია (The Limits to growth) 18

2.3. ბრუნდტლენდის ანგარიში 21

2.4. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება 26

2.5. 1992 წლის რიოს კონფერენცია – გარემო და განვითარება 27

2.6. კიოტოს ოქმი 35

2.7. გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია 39

2.8. გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) 40

2.9. იოჰანესბურგის 2002 წლის სამიტი 40

2.10. ბიომრავალფეროვნების საკითხები 41

2.11. Rio+20 და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 42

2.12. პარიზის შეთანხმება 44

2.13. მწვანე შეთანხმება 44

2.14. გლაზგოს სამიტი 45

3. მდგრადი განვითარების მიზნები (SDGS) 48

4. მდგრადი განვითარების მიზნების მიმოხილვა 55

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა 55

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა 61

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის..... 67

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის..... 74

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება 82

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა..... 86

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა 91

მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის 96

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა..... 102

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის 107

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება 115

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.....118

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება 124

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.....132

მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება..... 140

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე..... 146

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.....153

5. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი საქართველოში 157

5.1. საერთაშორისო მონიტორინგი.....159

გამოყენებული ლიტერატურა.....162

სასარგებლო ბმულები:.....163

წინასიტყვობა

მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფცია 2012 წელს გაერთიანებული ერების მდგრადი განვითრების კონფერენციაზე – რიო +20-ზე წარმოიშვა. მისი მიზანია შესთავაზოს მსოფლიოს უნივერსალური დღის წესრიგი, რომელიც წონასწორობაში მოიყვანს განვითრების სამ განზომილებას – გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს.

გაეროს წევრმა ქვეყნებმა მდგრადი განვითარების მიზნები 2015 წლის 25-27 სექტებერს ნიუ იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე მიიღეს.

გლობალური განვითარების 17 მიზანი პირდაპირ უკავშირდება გაეროს განვითარების პროგრამის სტრატეგიულ გეგმაში ასახულ საკვანძო საკითხებს: მდგრადი განვითარება, დემოკრატიული მმართველობა და მშვიდობის მიღწევა, კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების მიმართ მედეგობა; შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებს (სტუდენტებს, მოსწავლეებს), ჰქონდეთ ინფორმაცია გლობალური დღის წესრიგისა და სამთავრობო გეგმების შესახებ, იმსჯელონ მდგრადი განვითარების საკითხებზე და განათლების როლზე მდგრადი განვითარებისათვის, გააანალიზონ რომ „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ პრინციპებზე აღზრდილი პიროვნებები ხელს შეუწყობენ ქვეყანაში სამოქალაქო – სამართლებრივი ცნობიერებისა და დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებას.

1. რა არის მდგრადი განვითარება?

„დედამიწა მემკვიდრეობით არ გვრგებია,
ჩვენ მას ჩვენი შვილებისგან ვსესხულობთ“
ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

„მსოფლიოს ლიდერებს აქვთ უნიკალური
შესაძლებლობა, დაყენონ მსოფლიო ინკლუზიური
და მდგრადი განვითარების გზაზე“
ჰელენ კლარკი,
გაეროს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორი

მდგრადი განვითარების თეორია, ფაქტობრივად, ახალი, XXI საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების თეორიაა, რომლის მიზანი საზოგადოების განვითარების ჰარმონიული, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების მართვის მოგვარებაა. თანამედროვე მსოფლიოში მდგრადი განვითარება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა და საზოგადოების ყველა სფეროს – პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ბიზნესმენების, მეცნიერების, მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ყურადღების ცენტრშია. დღესდღეობით მდგრადი განვითარება ფუნდამენტურ სტრატეგიას წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თითქმის ყველა დარგსა და სფეროში.

ტერმინი ***მდგრადი განვითარება*** პირველად 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის ანგარიშში იყო მოხსენიებული. მდგრადი განვითარების

განსაზღვრება, რომელიც შემდეგი 25 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, მოხსენებაში ასე იყო ჩამოყალიბებული: „***მდგრადი განვითარება*** ისეთი განვითარებაა, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები“.

ამ განმარტებას შემდგომში მდგრადი განვითარების კიდევ სამი განზომილება დაემატა: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა და გარემოს მდგრადობა. სამგანზომილებიანი მდგრადი განვითარების მნიშვნელობას ხაზი გაესვა 2012 წლის რიოს +20 კონფერენციაზე.

დღეისათვის ***მდგრადი განვითარების*** 50-ზე მეტი განმარტება არსებობს და მათი რაოდენობა იზრდება. მდგრადი განვითარება გაეროს განმარტებებით „საზოგადოების განვითარების ისეთ სისტემას გულისხმობს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი“.

მდგრადი განვითარება მოიაზრებს ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას როგორც მოკლე და საშუალო, ასევე ხანგრძლივი ვადით; მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. მდგრადი განვითარება ეკონომიკური და სოციალური

განვითარებაა, რომელიც ბუნებრივი რესურსების შემცირების გარეშე მიმდინარეობს;



მდგრადი განვითარების სამგანზომილებიანი მოდელი

მდგრადი განვითარების ცნება მოიაზრებს თანასწორობის გრძელვადიან, შორსმჭვრეტ ხედვასა და სისტემურ აზროვნებას, რომლის ფარგლებშიც წინა პლანზე იწევს თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები. სამართლიანობა გულისხმობს, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს თავისი კულტურული და სოციალური ფასეულობების განვითარების შესაძლებლობა და, ამასთანავე, ყოველმა ერმა პატივი უნდა სცეს სხვა ერების განვითარების უფლებას. თანასწორობა, თავის მხრივ, ითვალისწინებს მომავალ თაობათა ინტერესებს, კონკრეტულად კი, ისეთი ღონისძიებების გატარე-

ბას, რომლებიც საშუალებას მისცემს მომავალ თაობებს იცხოვრონ და განვითარდენენ ჯანსაღ გარემოში და ხელი მიუწვდებოდეთ მათი განვითარებისათვის საჭირო რესურსებზე. გამომდინარე იქიდან, რომ არსებული ეკონომიკური და სახელმწიფო მართვის სისტემები ვერ უზრუნველყოფენ რესურსების ხელმისაწვდომობის თანასწორობას, აუცილებელია ამ სისტემების გადახედვა.

რესურსების მდგრადი გამოყენება და თანაბარი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და რეგენერაციისთვის, რადგან ასეთი გამოყენებით მიღებული სოციალური და ეკონომიკური სარგებელი მნიშვნელოვანი სტიმულია ხალხისათვის, დაიცვას პლანეტა; ცოცხალი რესურსებით სარგებლობისას ადამიანები ზრუნავენ, რომ შეამცირონ ბიომრავალფეროვნების განადგურება; მდგრადი გამოყენება მოიაზრებს ამ რესურსების მოხმარების პრინციპების განვითარებას.

მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის სწრაფ ზრდასთან ერთად, იზრდება რესურსებზე მოთხოვნა, ამიტომაც მნიშვნელოვანია რესურსების მდგრადი გამოყენება.

აუცილებელია გვესმოდეს, რომ მდგრადი განვითარების მიღწევა შეუძლებელია არსებული მიდგომებისა და ტენდენციების შეცვლის გარეშე და სულ უფრო ცოტა დრო გვრჩება მდგრად სისტემაზე რაციონალური და შეუფერხებელი გადასვლისათვის. არსებული განვითარების ტენდენციის შედეგად დღეს უკვე წამოჭრილია მრავალი გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემა: ტროპიკული ტყეების მასიური გაჩეხვა, მცენარეთა სახეობების გადაშენება, ქალაქებში ატმოსფერული

ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და სხვა. შესაბამისად, საჭიროა სწრაფი რეაგირება და ინოვაციური გზების მოძებნა, რათა მოხდეს ინდივიდუალური ქცევის, ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პოლიტიკის შეცვლა მდგრადი განვითარების პრინციპების დასანერგად და განსახორციელებლად. კერძოდ კი, მდგრადი განვითარების მიღწევა გულისხმობს რიგი ქმედებების ახლებური ხედვით განხორციელებას სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ დონეზე როგორც წარმოებისა და მოხმარების არსებულ პრაქტიკაში, ასევე სათანადო სახელმწიფო მართვაში.

მდგრადი განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ექნება წარმოებაში ეფექტიანობის გაზრდასა და ნედლეულის ხელახალი გამოყენების დანერგვას. ეკო-ეფექტური საწარმოებისა და კომპანიების არსებობა შესაძლებელს გახდის, ერთი მხრივ, წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე კონკურენტუნარიანი ფასების ხარჯზე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ კი, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასა და ამავდროულად ნედლეულის ეკონომიურ გამოყენებას, ისე რომ, არ დაირღვეს ეკოსისტემების ბუნებრივი წონასწორობა.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მდგრადი მოხმარების დანერგვა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მოხმარების დონე ყოველდღიურად იზრდება. მოხმარება, რა თქმა უნდა, ცხოვრების აუცილებლი ნაწილია – ყველა ორგანიზმი თავისი ბიოლოგიური არსებობის შენარჩუნების მიზნით რაღაცას მოიხმარს, თუმცა საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ ხდება მოხმარება, რა რაოდენობით და რა გავლენას ახდენს. მაგალითად, განვითა-

რებული ქვეყნების უმეტესობის არსებული მოხმარების დონე და ფორმა არამდგრადია და ასეთი მოხმარების ზეგავლენა როგორც გარემოს მდგომარეობაზე, ასევე სოცილური კუთხით, დღეს უკვე თვალსაჩინოა ადგილობრივ თუ გლობალურ დონეზე. სწორედ გადაჭარბებული და არამდგრადი მოხმარების შედეგია დაბინძურებული გარემო და საზოგადოებებს შორის გაუცხოება. გლობალური მასშტაბით კლიმატის ცვლილება და ოზონის შრის დაშლა, რაც გადაჭარბებულ მოხმარებას უკავშირდება, საკმარისია, რომ დავფიქრდეთ ჩვენი მოხმარების წესის ზემოქმედებაზე.

მოხმარების დონის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა „ეკოლოგიური ნაკვალევის (ანაბეჭდის)“ მეთოდის გამოყენება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი ბიოლოგიურად პროდუქტიული ფართობი (ჰექტრებში) და წყალია აუცილებელი ჩვენ მიერ ყველა საჭირო რესურსის წარმოების, მოხმარებისა და მოხმარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია სათანადო პოლიტიკის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობდა ჩვენი „ეკოლოგიური ანაბეჭდის“ შემცირებას ისე, რომ არ შეიზღუდოს მოსახლეობის კეთილდღეობა. ასეთი პოლიტიკა ასევე უნდა ითვალისწინებდეს 1 მილიარდი ღარიბი მოსახლეობის (რომლისთვისაც მიუწვდომელია სათანადო კვება, თავშესაფარი და ელემენტარული მოხმარების საგნები) ცხოვრების პირობების გაუმჯობე სებას. აღსანიშნავია ყოველი ჩვენგანის, როგორც მომხმარებლის, როლი შეგნებული გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროა დავფიქრდეთ, რამდენად საჭიროებისამებრ ხდება ჩვენ მიერ ამა თუ იმ პროდუქტისა ან სერვისის მოხმარება.

იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენებაში მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხაიათდება:

- ✓ ეკონომიკური ზრდის ამაღლება;
- ✓ გარემოს დაცვა მდგრადი ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენით;
- ✓ სოციალური თანასწორობის მიღწევა.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო პრინციპებია:

1. გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ინტეგრირება:

- ✓ ეკონომიკური გადაწყვეტილება ადეკვატურად უნდა ასახავდეს გარემოს, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სოციალურ ასპექტებს;
- ✓ ჯანდაცვისა და გარემოსდაცვით სფეროში არსებული ინიციატივების განხორციელებისას, შეძლებისდაგვარად, უნდა მოხდეს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება.

2. ხელმძღვანელობა:

- ✓ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული;
- ✓ დღევანდელი გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს სამომავლო შედეგებს.

3. პასუხისმგებლობის გაზიარება და გაგება:

- ✓ მოქალაქეები პატივს უნდა სცემდნენ განსხვავებულ ეკონომიკურ და სოციალურ შეხედულებებს, განსხვავებულ ღირებულებებს, ტრადიციებსა და მისწრაფებებს;

- ✓ მოქალაქეები პასუხისმგებლობას უნდა იღებდნენ ეკონომიკის მდგრადობის, ჯანსაღი გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

4. პრევენცია:

- ✓ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხეების მინიმიზაცია გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით.

5. კონსერვაცია და გაძლიერება:

- ✓ საზოგადოებამ უნდა შეინარჩუნოს ეკოლოგიური პროცესები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და ეკოსისტემები;
- ✓ მდგრადად და გონივრულად უნდა იქნეს გამოყენებული განახლებადი და არაგანახლებადი რესურსები;
- ✓ საზოგადოება გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ცდილობდეს ეკოსისტემების ხარისხისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

6. რეაბილიტაცია და აღდგენა:

- ✓ საზოგადოება უნდა ცდილობდეს დაზიანებული და დეგრადირებული გარემოს აღდგენას;
- ✓ სამომავლო ქმედებები და გადაწყვეტილებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯები.

7. გლობალური პასუხისმგებლობა:

- ✓ ადგილობრივი მოქმედებისას საზოგადოება უნდა ფიქრობდეს გლობალურად. ქვეყნები უნდა თანამშრომლობდნენ საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური ასპექტების ინტეგრირების მიზნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების თეორია ბოლო პერიოდის ყველაზე გამოკვლევად, სწრაფად განვითარებად და პოპულარულ ახალ თეორიად ჩამოყალიბდა. მას მიეძღვნა უამრავი კონფერენცია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო. ამასთან, ის არის უაღრესად პრაქტიკული თეორია.

მსოფლიოს ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ განაცხადა მდგრადი განვითარების გზით სიარულის სურვილი. მოწინავე ქვეყნების ლიდერები და საერთაშორისო დოკუმენტები საბაზო იდეოლოგიად მდგრადი განვითარების დებულებებს იყენებენ.

2. როგორ ყალიბდებოდა მდგრადი განვითარების კონცეფცია?

მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმირება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროსაც ეტაპობრივად იცვლებოდა საზოგადოების, სახელმწიფოსა თუ ბიზნესსექტორის დამოკიდებულება და ცნობიერება.

2.1. მდგრადი განვითარების სათავეები

ტერმინის ***მდგრადი განვითარება*** ისტორიული ფესვები XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს.

1713 წელს შეიქმნა გერმანული სატყეო ცნობარი, რომელშიც პირველად იქნა გამოყენებული სიტყვა — „Nachhaltigkeit“, ინგლისურად ითარგმნება, როგორც „sustained yield“ (შენარჩუნებული მოსავალი). ეს ტერმინი ნიშნავდა მხოლოდ იმ რაოდენობის ხეების მოჭრის პრაქტიკას, რომელიც მომავალში ტყის რეგენერაციას (აღდგენას) არ შეუშლიდა ხელს. ტერმინი „sustained yield“ ინგლისურ სატყეო ცნობარში მხოლოდ 100 წლის შემდეგ დამკვიდრდა, თუმცა მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ის უკვე არა მხოლოდ ხეების დაცვას მოიცავდა, არამედ ტყის, როგორც ერთიანი სისტემის, შენარჩუნებასაც თავისი ფლორითა და ფაუნით.

1968 წელს ამერიკელმა ეკოლოგმა და ფილოსოფოსმა გარეტ ჯეიმს ჰარდინმა დაწერა ესე „საერთო რესურსების ტრაგედია“, რომელშიც ყურადღება გაამახვილა ინდივიდუალური ქმედებების საფრთხეზე საე-

რთო რესურსების ამოწურვის თვალსაზრისით. ჰარდინი თვლიდა, რომ ადამიანების ულიმიტო მოხმარებისკენ მისწრაფება საბოლოოდ დედამიწის რესურსების ჭარბ მოპოვებას და ამოწურვას გამოიწვევდა. გარეტ ჰარდინი ამის მაგალითად ასეთ ილუსტრაციას გვთავაზობდა: დავუშვათ, რომ სახელმწიფომ მოქალაქეებს ნება მისცა თავისი ფარა აძოვოს საერთო საძოვარზე. ამ შემთხვევაში თითოეული მათგანის პირადი მოგება დამოკიდებულია ფარაში ცხოველების რაოდენობაზე. ასე რომ, მათ ექნებათ პირადი მოტივი – ჰყავდეთ რაც შეიძლება მეტი საქონელი. მაგრამ საერთო მიწა არ არის ამოუწურავი და დიდი რაოდენობის საქონლის არსებობის შემთხვევაში, საკმარისი ბალახი აღარ დარჩება, რაც ყველას დააზარალებს. ასე რომ, მხოლოდ პირადი ინტერესების გათვალისწინებამ შეიძლება საბოლოოდ საზოგადო საქმე დააზარალოს.

ჰარდინის ესეს გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1972 წელს, რომის კლუბის მხარდაჭერით შეიქმნა კომპიუტერული სიმულაცია, რომელიც შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით არსებულ რეალობას ასახავდა. სიმულაცია 5 განზომილებას მოიცავდა: მსოფლიო მოსახლეობის ზრდა, ინდუსტრიალიზაცია, დაბინძურება, საკვების წარმოება და არაგანახლებადი რესურსების ამოწურვა. სიმულაციის საბოლოო სცენარის მიხედვით, XXI საუკუნის ბოლოს სოციალური და ეკონომიკური კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

ჯერ კიდევ 1970 წელს ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი, რომელმაც ნობელის პრემია 1976 წელს ეკონომიკაში მოხმარების ანალიზის, მონეტარული ისტორიისა და სტაბილიზაციის პოლიტიკის თეორიისა და სირთულეების შესახებ კვლევისთვის მიიღო,

ამბობდა, რომ ბიზნესის მხოლოდ ერთი სოციალური პასუხისმგებლობა არსებობს: გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები ისე, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს, და რაც მთავარია, დარჩეს საკანონმდებლო ჩარჩოში. სამწუხაროდ, სწორედ ეს შეხედულება დაედო საფუძვლად ბიზნესის განვითარებას XX საუკუნის ბოლოს და რიგ შემთხვევებში, ახლაც სწორედ ასე გრძელდება. რეალურად კი დღეს განვითარებულ სამყაროში არსებული ყველა კომპანია ერთხმად თანხმდება იმ საკითხზე, რომ ბიზნესის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღება არ არის!

2.2. საერთო რესურსების ტრაგედია (THE LIMITS TO GROWTH)

1972 წელს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის რომის კლუბის (ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია გლობალური პრობლემების გადასაჭრელი ტაქტიკისა და სტრატეგიების შემუშავებისკენ) მხარდაჭერით გამოიცა ანგარიში „ზრდის შეზღუდვები“ (The Limits to growth). ანგარიშის შექმნის პროცესში მსოფლიოს ცნობილი 17 მეცნიერი იყო ჩართული, მათ შორის იყვნენ მასაჩუსეტის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის მკვლევრები, ცოლ-ქმარი – დონელა და დენის მიდოუები, რომელთაც შექმნეს კომპიუტერული მოდელი „World3“ და რომელსაც საკმაოდ ამბიციური მიზანი ჰქონდა. მეცნიერთა ჯგუფმა გულდასმით გამოიკვლია ინდუსტრიალიზაცია, მოსახლეობა, საკვები, რესურ-

სების მოხმარება და დაბინძურება, რის საფუძველზეც მათ 1970 წლამდე არსებული მონაცემების მოდელირება შეძლეს და 2001 წლისთვის განვითარების რამდენიმე სცენარი შექმნეს. ამ ამბავში ყველაზე მნიშვნელოვანია სცენარების განსხვავებულობა იმის მიხედვით, შეცვლიდნენ თუ არა ადამიანები საკუთარ დამოკიდებულებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები გააგრძელებენ გარემოს უგულებელყოფას და რესურსების ჭარბ მოხმარებას, მოდელის მიხედვით, 2070 წლისთვის ეკონომიკა, გარემო და მოსახლეობა გადაიტვირთება და სრულიად „ჩამოიშლება“. ამ სცენარს “business-as-usual scenario”, ანუ „საქმიანობის ტრადიციული გზით გაგრძელების“ სცენარი ეწოდა, ანგარიშის ძირითადი იდეა ისაა, რომ დედამიწა ფლობს განსაზღვრული რაოდენობით რესურსებს და მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რესურსების ჭარბი მოხმარება, წარმოების მუდვივად განვითარება დ ა.შ. საბოლოოდ ჩვენი პლანეტის განადგურებას გამოიწვევს.

მდგრადი განვითარების ისტორიაში გარდამტეხია 1972 წელი, როდესაც ქალაქ სტოკჰოლმში (შვედეთი) 5-16 ივნისს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველი კონფერენცია გარემოსა და მდგრად განვითარებაზე. კონფერენციაზე მსოფლიო ქვეყნების ლიდერებმა განიხილეს გარემოზე ადამიანის გავლენისა და ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული შედეგები. სტოკჰოლმის კონფერენციას საფუძველი ჩაუყარა 1968 წელს UNESCO-ს მიერ მოწვეულმა მთავრობათაშორისმა კონფერენციამ (1968 წლის ბიოსფეროს საკითხებზე კონფერენცია). ეს უკანასკნელი ჰაერისა და წყლის დაბინძურების, გადაძოვების, ტყეების განადგუ-

რებისა და ჭაობების დაშრობის საკითხებს მოიცავდა. შემუშავდა 12 რეკომენდაცია, რომლებიც შემდგომ 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციაზე განხილულ თემებში აისახა.

კონფერენციაში 114 სახელმწიფო და დიდი რაოდენობით საერთაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო დამკვირვებელი მონაწილეობდა. სტოკჰოლმის კონფერენცია გაეროს მიერ ჩატარებული კონფერენციებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა. შეხვედრა ჩატარდა ცივი ომის პერიოდში, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა მასზე, თუმცა პოსტსოციალისტური ქვეყნები დღეს აქტიურად იზიარებენ სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგებს.



მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმირების ისტორია

კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო იმ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, რომლებიც მსოფლიო მოსახლეობას საკუთარი გარემოს დაცვისკენ უბიძგებდა. სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი

მთავარი მიღწევაა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (United Nations Environment Programme, UNEP) შექმნა. კონფერენციაზე ასევე მიღებულ იქნა გარემოს დაცვის საერთაშორისო პრინციპების დეკლარაცია, სამოქმედო გეგმა, ორგანიზაციულ-ფინანსური გადაწყვეტილებები და რეკომენდაცია გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის შექმნის თაობაზე. საბოლოო ჯამში სტოკჰოლმის კონფერენციამ სამი არასავალდებულო რეზოლუცია მიიღო: რეზოლუცია ინსტიტუციური და ფინანსური მოწყობის შესახებ; 26 პრინციპის შემცველი დეკლარაცია და 109 რეკომენდაციისაგან შემდგარი სამოქმედო გეგმა.

2.3. ბრუნდტლენდის ანგარიში

„მომავალ თაობებს ჩვენ დავესესხეთ „ეკოლოგიურ კაპიტალს“, თუმცა, სამწუხაროდ, ვალის დაბრუნება უკვე აღარ ძალგვიძს“.

ამონარიდი გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის (WCED) ბრუნდტლენდის ანგარიშიდან

„გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია“ (WCED), რომელსაც ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გრო ჰარლემ ბრუნდტლანდი თავმჯდომარეობდა, შექმნა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1983 წელს. კომისია დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენდა და მისმა მუშაობამ მნიშვნელოვნად დააჩქარა UNCED-ის ჩატარება.

კომისიამ 1987 წელს გამოსცა ბრუნდტლენდის ანგარიში, რომელიც ცნობილია, როგორც „ჩვენი საერთო მომავალი“ (Our Common Future). შემდგომში ამ თეორიამ მდგრადი განვითარების კონცეფციის სახელწოდება მიიღო. რეპორტი გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ (WCED) იქნა გამოცემული და სახელი კომისიის მაშინდელი თავმჯდომარის, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის, გრო ჰარლემ ბრუნდტლენდის პატივსაცემად ეწოდა. ანგარიშში ოფიციალურად პირველად განიმარტა მდგრადი განვითარება და, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფციას.

ნორვეგიის პრემიერ-მონისტრი გრო ჰარლემ ბრუნდტლენდი, რომელიც სიტყვით გამოდის გაეროს გარემოსა და განვითარების გენერალურ ასამბლეაზე 1987 წლის 19 ოქტომბერს

ბრუნდტლენდის ანგარიშის მიხედვით, მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომლის დროსაც ამჟამინდელი საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება მომავალი თაობების მიერ, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების თანამედროვე აღქმა, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ორგანიზებას იმგვარად, რომ შეძლოს გრძელვადიან პერიოდში არსებობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვით, ასევე სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა/შენარჩუნებით, სწორედ ბრუნდტლენდის ანგარიშის განმარტებას ეფუძნება.

ბრუნდტლენდის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თანამედროვე საზოგადოება განვითარების პრობლემებს წააწყდა, რის მიზეზადაც გარემოს მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდის შეფერხებაა დასახელებული. ავტორთა აზრით, გარემოს დეგრადაცია გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების არასწორი ორიენტირებით. კაცობრიობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად წარმოება ყველაზე მარტივ გზას ირჩევდა: რაც უფრო მეტია მოთხოვნილება, მით უფრო მეტია ბუნებრივი რესურსების მოხმარება. რამდენადაც ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ექსპლუატაციას ეყრდნობა, განვითარების ამგვარი გზა, ავტორთა აზრით, უპერსპექტივოა, რადგან ეს ბუნებრივი რესურსები ისედაც საკმაოდ გამოფიტულია და მათი პირვანდელი სახით შენარჩუნება უკვე გამორიცხულია, რომ აღარაფერი ითქვას მათ შესაძლო განადგურებაზე.

ანგარიშის ავტორები, მდგრადი განვითარების მიზნით, ყურადღებას ამახვილებენ ბუნებრივი რესურსების

ექსპლუატაციის მასშტაბების შემცირებაზე სოფლის მეურნეობისა და მოქალაქეთა მოთხოვნილების ერთგვარი რეგულირების გზით. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს ეკონომიკისა და ეკოლოგიის ინტერესების ინტეგრაციის აუცილებლობასთან.

ბრუნდტლანდის ანგარიშით განისაზღვრა, თუ რამდენად განსხვავებულად ვუყურებთ ჩვენ მსოფლიოს, რომ მდგრადი განვითარება და გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ასევე გამოიკვეთა ძირითადი სამართლებრივი და ინსტიტუციური პრობლემები. ანგარიშმა კონკრეტული რეკომენდაციები წარმოადგინა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრზე (მოსახლეობა, სურსათის უზრუნველყოფა, სახეობებისა და გენეტიკური რესურსების გაქრობა, ენერგეტიკა, წარმოება და ადამიანის დასახლებები) და ცხადი გახადა, რომ ეს საკითხები ურთიერთკავშირშია – მათი გადაჭრა ერთმანეთისაგან განცალკევებულად შეუძლებელია. ამას გარდა, ანგარიშში განხილულია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინსტიტუციური რეფორმის საკითხები; ურთიერთკავშირები მშვიდობას, უშიშროებას, განვითარებასა და გარემოს შორის.

ბრუნდტლანდის ანგარიშმა განსაზღვრა ექვსი პრიორიტეტული სფერო, რომლებშიც სამართლებრივი და ინსტიტუციური საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის ცვლილებების განხორციელება იყო საჭირო, და არსებულ სამართლებრივ მოწყობას პრობლემის ნაწილი უწოდა. ამასთან, თითოეულმა ამ შემოთავაზებამ მთავრობებისა და UNCED-ის მხარდაჭერა მიიღო.

ანგარიში მოუწოდებდა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძოდ:

1. ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებს – მხარი დაეჭირათ ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარებისთვის, სრულად ჩაერთოთ გარემოსდაცვითი საკითხები თავიანთ მიზნებსა და საქმიანობებში, და გაეუმჯობესებინათ თანამშრომლობა და კოორდინაცია;
2. UNEP-ს, როგორც გარემოსდაცვითი მონაცემების, შეფასებისა და ანგარიშგების ძირითად წყაროს, – გაეძლიერებინა საერთაშორისო თანამშრომლობა;
3. საერთაშორისო თანამეგობრობას – შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის გაძლიერებისაკენ შეუქცევადი გარემოსდაცვითი ზიანის აღმოფხვრის მიმართულებით;
4. საერთაშორისო თანამეგობრობას – ინფორმირებული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო და კერძო წრეების ჩართულობის გაზრდის აუცილებლობისკენ;
5. მთავრობებს – გამოესწორებინათ ხარვეზები და შეევსოთ ნაკლოვანებები ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რათა დაცული ყოფილიყო ამჟამინდელი და მომავალი თაობების უფლება, ეცხოვრათ ჯანსაღ გარემოში;
6. გაეროს – მდგრადი განვითარების პროგრამის შექმნისაკენ.

2.4. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება

ცნობიერების გაზრდამ იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კლიმატის ცვლილებამ პლანეტაზე და ადამიანის სიცოცხლეზე, განაპირობა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (World Meteorological Organization, https://public.wmo.int/en) და გაეროს განვითარების პროგრამის (United Nations Development Programme, UNDP, https://www.undp.org/) ფარგლებში კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (The Intergovernmental Panel on Climate Change, IPCCC, https://www.ipcc.ch/) შექმნა.

ორგანიზაცია არ ატარებს კვლევებს და მონიტორინგს კლიმატზე ან მასთან დაკავშირებულ რომელიმე ფენომენზე. მისი ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა გაეროს კლიმატის ცვლილებაზე ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნება და რეკომენდაციების მომზადებაა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ არსებულ მეცნიერულ ცოდნაზე, კლიმატის ცვლილების სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე, აგრეთვე, სტრატეგიებსა და იმ პოტენციურ ელემენტებზე, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელია კლიმატის ცვლილების სამომავლო კონვენციებში. ორგანიზაციის შეფასება ეყრდნობა ძირითადად ექსპერტთა მიერ გადამოწმებულ და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ მონაცემებს.

1998 წლიდან დღემდე კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მიერ მომზადებულია შეფასების 5 ციკლი და 5 ანგარიში, რომლებიც წარმოადგენს მსოფლიოში ყოვლისმომცველ სამეცნიერო დოკუმე-

ნტებს კლიმატის ცვლილების მიმართულებით.

2002-2015 წლებში ორგანიზაციას პროფესორი რაჯენდრა კუმარი პაჩაური ხელმძღვანელობდა, ხოლო 2015 წლიდან თავჯდომარედ ჰიოსენ ლი იქნა არჩეული. 2007 წელს ჯგუფი ნობელის მშვიდობის პრემიით დაჯილდოვდა ალბერტ გორთან ერთად.

2.5. 1992 წლის რიოს კონფერენცია – გარემო და განვითარება

1990 წლებისთვის უკვე არსებობდა საერთაშორისო სამართლის სრულიად დამოუკიდებელი სფერო – საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი. გლობალურ და რეგიონულ დონეზე ეს გულისხმობდა მრავალ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას, რომლებიც სახელმწიფოებს გარემოსათვის საზიანო საქმიანობის განხორციელებას უკრძალავდა.

UNCED-ი ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში, 1992 წლის 3-14 ივნისს ჩატარდა და მასში მონაწილეობა 178-მა სახელმწიფომ, 50-ზე მეტმა მთავრობათაშორისმა ორგანიზაციამ და რამდენიმე ათასმა კორპორაციამ თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო. იმ ძირითადი 20 ერთმანეთისაგან განსხვავებული გარემოსდაცვითი მიზნიდან, რომლებიც დაფიქსირდა რიოს კონფერენციაზე, ხაზი შეიძლება გაესვას შემდეგ ოთხს:

- ✓ სათანადოდ შესწავლილ იქნეს გარემოს მდგომარეობა და ცვლილებები სტოკჰოლმის დეკლარაციის შემდგომი პერიოდის განმავლობაში;

- ✓ განსაზღვრული დროის განმავლობაში იდენტიფიცირებულ იქნეს რეგიონალური და გლობალური გარემოსდაცვითი სტრატეგიები ერთიან გარემოსდაცვით პოლიტიკასთან მიმართებით;
- ✓ განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს იმ რეკომენდაციების ნუსხა, რომლებიც ხელს შეუწყობენ გარემოს განვითარებას;
- ✓ განვითარებადი ქვეყნების ინტერესებისა და სტოკჰოლმის დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით, ხელი შეეწყოს საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის განვითარებას, რომლის მეშვეობითაც ზუსტად განისაზღვრება სახელმწიფოთა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის სფეროში.

რიოს 1992 წლის კონფერენცია

რიოს კონფერენციაზე მიღებული იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ დეკლარაცია „გარემოსა და განვითარების“ შესახებ;
- ✓ დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის;
- ✓ განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების შესახებ – ტყის სექტორში; დაგეგმილი პრინციპების პროექტი;
- ✓ კონვენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ;
- ✓ კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ;
- ✓ შეთანხმება შემდეგი შესაბამისი კონვენციების შესამუშავებლად: „გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია“, „ზღვის ხმელეთიდან დაბინძურების კონვენცია“ და „თევზის მარაგების კონვენცია“;
- ✓ შეთანხმება მდგრადი განვითარების კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც მონიტორინგს განახორციელებდა რიოს შეთანხმებებისა და „დღის წესრიგი – 21-ის“ შესრულებაზე.

დეკლარაციაში გარემოსა და განვითარების შესახებ თავმოყრილია 27 პრინციპი, რომელთა უმთავრესი არსი მდგომარეობს მსოფლიოს საზოგადოებისა და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკოლოგიურად კორექტულ ქმედებათა აუცილებლობაში. დეკლარაციაში განცხადებულია, რომ ხანგრძლივი ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას წარმოადგენს გარემოს დაცვისა და ეკონომიკის განვითარების ჰარმონიული ურთიერთშეხამება.

რიოს დეკლარაციაში არსებული პრინციპები უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური თეორიისა და შესაბამისი მმართველობითი საქმიანობის წარმატებული პრაქტიკისათვის. მათ შორის

აღსანიშნაცია შემდეგი პრინციპები:

- ✓ **პრინციპი 1**. ადამიანებზე ზრუნვას ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი ღონისძიებების სისტემაში. ადამიანებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან ჰარმონიულობის პირობებში;
- ✓ **პრინციპი 3.** განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;
- ✓ **პრინციპი 4.** მდგრადი განვითარების მიღწევებისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და დღევანდელივით არ განიხილებოდეს მისგან მოწყვეტით;
- ✓ **პრინციპი 8**. მდგრადი განვითარებისა და ყოველი ადამიანისათვის უფრო მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ და გააუქმონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელები და გაატარონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა;
- ✓ **პრინციპი 11.** სახელმწიფოები იღებენ სამართლებრივ აქტებს გარემოსდაცვით სფეროში საკუთარი სპეციფიკის საფუძველზე;
- ✓ **პრინციპი 12**. ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და ღია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მდგრად განვითარებას ყველა ქვეყანაში;

- ✓ **პრინციპი 22.** ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში.

„რიო-1992“-ის მეორე დოკუმენტი – „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ წარმოადგენს ყოვლისმომცველ პროგრამას მთელი კაცობრიობისათვის მიმდინარე საუკუნეში. მასში ასახულ გლობალურ თანამშრომლობას ორი მიზანი გააჩნია: 1) ბუნებრივი გარემოს მაღალი ხარისხი და 2) ჯანსაღი ეკონომიკა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. ეს ისტორიული და მოცულობითი დოკუმენტი მოიცავს მდგრადი განვითარების ყველა ასპექტს. მას აქვს უდიდესი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა ეკოლოგიურად ჯანსაღი, „მწვანე“ სოციალური და ეკონომიკურ-მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსათვის.

დღის წესრიგის პრეამბულაში ნათქვამია, რომ უსაფრთხო და აყვავებული მომავლის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები გადაიჭრას კომპლექსურად და ურთიერთდაკავშირებულად. „დღის წესრიგი“ ასახავს სახელმწიფოთა გლობალურ თანხმობას და პოლიტიკურ ვალდებულებებს განვითარებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში. მასში დადასტურებულია, რომ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, მთავრობათა მოვალეობას წარმოადგენს და ამისათვის აუცილებელია ეროვნული პროგრამების, გეგმების და

პოლიტიკის შემუშავება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებს.

დოკუმენტში გადმოცემულია შემდეგი ფუნდამენტური დებულებები:

- ✓ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეკოლოგიური და სავაჭრო პოლიტიკა შეესატყვისებოდეს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს;
- ✓ გლობალური ეკოლოგიური დეგრადაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია წარმოების და მოხმარების ისეთი სტრუქტურა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას, განსაკუთრებით ეს ითქმის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე;
- ✓ ჩვენ უნდა განვიხილოთ საკითხი სიმდიდრის და აყვავების ისეთი ახალი კონცეფციების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფდა ცხოვრების უფრო მაღალ დონეს ცხოვრების წესის შეცვლის გზით და ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული დედამიწის შეზღუდულ რესურსებზე და უკეთესად უპასუხებდა მისი სიცოცხლის უზრუნველმყოფ შესაძლებლობებს;
- ✓ აუცილებელია შევცვალოთ ეკონომიკური ზრდის დღევანდელი კონცეფციები და დავსახოთ ისეთი ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც გაითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების სრულ ღირებულებას. ასეთი მიდგომა მოითხოვს ისეთი ახალი ეკონომიკური მაჩვენებლების შემუშავებას, რომლებშიც ასახული იქნება მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასებისას;
- ✓ მდგრადი განვითარების მიღწევა დამოკიდებულია მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებთან

ეფექტიანი წარმოების შეხამებაზე, ეს კი მოითხოვს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული წარმოება-მოხმარების სისტემების ორიენტაციის შეცვლას;

- ✓ ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს წარმოების და მოხმარების მდგრად სტრუქტურებზე გადასვლას;
- ✓ მთავრობებმა და ბიზნესმა, განსაკუთრებით მრეწველობის სფეროში, უნდა ითანამშრომლონ, რათა უზრუნველყონ ბუნებათსარგებლობის, წარმოების და მოხმარების ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრადი მეთოდების განვითარება;
- ✓ ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს პროგრამები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება ადამიანის ჯანმრთელობის დამაზიანებელი ეკოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები;
- ✓ აუცილებელია ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომლებიც წაახალისებს ენერგოდამზოგველი და ახალი ტექნოლოგიების (მზის, წყლის, ბიომასის და სხვა ენერგიის გამოყენებით) განვითარებას;
- ✓ მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მდგრადი განვითარების სტრატეგიები, რათა გააერთიანონ მთლიან სისტემაში სოციალური და ეკოლოგიური პოლიტიკა ყველა სამინისტროს და საქმიანობის დონეზე, საგადასახადო და საბიუჯეტო სფეროს ჩათვლით; ასეთი სტრატეგიების მიზანი უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება ბუნებრივი გარემოს ფაქტორებთან ჰარმონიაში მომავალი თაობების საკეთილდღეოდ; ასეთი მიზნების მისაღწევად აუცილებელია ცვლილებები კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინფორმატიკის, ასევე

დაგეგმვის და მართვის სფეროებში;

- ✓ მთლიანად ფასებმა, ბაზრებმა, საგადასახადო და ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს საზოგადოების გონივრული დამოკიდებულება ეკოლოგიური სისტემის მიმართ. ამ მიზნით ძირეული ცვლილებებია საჭირო საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკულად ყველა სფეროში (ენერგეტიკა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, სოფლის და სატყეო მეურნეობა, კავშირგაბმულობა, წყალმოხმარება, ნარჩენების გადამუშავება, ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა).

ამისთვის მნიშვნელოვანია და საურველია, მთავრობებმა:

- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ძირეული მოსახლეობის ტრადიციული ეკოლოგიური გამოცდილების გამოყენება და სათანადო ტექნოლოგიებით ამ პროცესის ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ მოაგვარონ XXI საუკუნის დღის წესრიგის“ შემუშავება ადგილობრივი მართვის და თვითმმართველობის დონეზე ყველა რაიონში;
- ✓ მოაგვარონ ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი განათლების გავრცელება მთელს მოსახლეობაში. წაახალისონ საზოგადოების ყველა სექტორი (სამთავრობო, საწარმოო, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და სხვ.) ეკოლოგიური კადრების მომზადების სისტემის შექმნის მიზნით.

მთლიანობაში, „რიო-1992“-ის დოკუმენტების სოციალური, ეკონომიკურ-მმართველობითი და ეკოლოგიუ-

რი შინაარსი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თეორიის განვითარებაში დადგა ახალი ეტაპი, როდესაც მოძველებული შეხედულებების ძირეული ცვლილებების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს და ყოველმხრივ განვითარდეს უახლესი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური აზროვნება და შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ფუნდამენტი.

2.6. კიოტოს ოქმი

კიოტოს ოქმი მიღებულ იქნა იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წლის 11 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. ოქმის განხორციელების დეტალური წესები დადგენილ იქნა 2001 წელს მაროკოში, კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია მარაკეშის შეთანხმების სახელით. კიოტოს ოქმს საქართველო 1999 წლის ივნისში შეუერთდა.

კიოტოს ოქმი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა. ოქმის მიზანია ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის დასტაბილურება ისეთ დონეზე, რომელიც დედამიწის კლიმატისთვის საშიში არ იქნება. კონვენციისგან განსხვავებით, კიოტოს ოქმი ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის – განსხვავებულ) ზღვრებს (ლიმიტებს, კვოტებს) ადგენს. ქვეყნებს ეძლევათ უფლება,

გაფრქვევათა შემცირების ნაწილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეასრულონ, ანუ, ფაქტობრივად, კვოტებით ივაჭრონ.

კიოტოს ოქმის მთავარი თავისებურება ის არის, რომ ოქმი ადგენს ინდუსტრიული ქვეყნებისთვის სათბურის აირების შემცირების სავალდებულო მიზნებს. ეს გამოიხატება 2008-2012 წლებისთვის ემისიების საშუალოდ 5%-ით შემცირებით 1990 წლის დონესთან შედარებით.

კიოტოს ოქმი ბუნებრივ გარემოსთან მიმართებით ერთადერთი რეალურად მოქმედი მექანიზმია, ჩარჩო დოკუმენტია იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც მიმართულია ატმოსფეროში ადამიანის მოქმედების შედეგად მოხვედრილი ნახშირორჟანგის მოცულობის სტაბილიზაციისა და შემცირებისკენ. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველაზე დიდი ვალდებულება, 2008-2012 წლებისთვის განსაზღვრული პროცენტით შეამცირონ სათბურის აირთა ემისია 1990 წლის დონესთან შედარებით, იკისრეს ევროგაერთიანებამ (8%), აშშ-მ (7%) და იაპონიამ (6%). რუსეთმა, უკრაინამ და ახალმა ზელანდიამ იკისრეს ვალდებულება, მოახდინონ ემისიების სტაბილიზაცია 1990 წლის დონეზე. საბოლოო ჯამში, ამ ოქმის რეალიზაციის შედეგად ნახშირორჟანგის ემისია სულ 5%-ით უნდა შემცირდეს. ეს ვალდებულებები საერთოდ არ ეხება განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის – ჩინეთს, რომელიც აშშ-ის შემდეგ ნახშირორჟანგის ყველაზე დიდი მწარმოებელია დედამიწაზე და ინდოეთს, რომელიც მას დიდად არ ჩამორჩება. საბოლოო ჯამში, ეს ორი ქვეყანა, როგორც ჩანს, მრავალჯერ გადააჭარბებს ნახშირორჟანგის ემისიის იმ შემცირებას, რომელსაც განვითარებული ქვეყნები დიდი ჯაფის შედეგად მიაღწევენ.



კიოტოს ოქმზე ხელისმომწერი ქვეყნები
(ვალდებულების პერიოდი: 2013-2020 წწ.)

რუკის ლეგენდა:

– ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს და ამავე დროს მოახდინეს მისი რატიფიკაცია (ქვეყნები, რომლებიც შევიდნენ 1-ელ და მე-2 დანართებში)

– განვითარებადი ქვეყნები სავალდებულო მიზნეების გარეშე

– ქვეყნები, რომელთაც ხელი არ აქვთ მოწერილი

– ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს, მაგრამ არ მოუხდენიათ მისი რატიფიკაცია

– ქვეყნები, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ოქმზე ხელის მოწერისა და მისი რატიფიცირების გადაწყვეტილება

– ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს რატიფიცირება და უარი თქვეს კონვენციაზე

კიოტოს ოქმი ემისიების გლობალური შემცირებისკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია და უზრუნველყოფს არსებით სტრუქტურას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სამომავლო საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვის.

იმის აღიარებით, რომ სათბურის აირების არსებულ მაღალ დონეებზე უმთავრესად პასუხისმგებელნი არიან განვითარებული ქვეყნები 150-წლიანი აქტიური სამრე-

წველო საქმიანობის გამო, ოქმი მათ „საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის პრინციპიდან” გამომდინარე ვალდებულებებს აკისრებს.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ კიოტოს ოქმის ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაშიც კი არ არსებობს გარანტია, რომ ტემპერატურის ზრდის ტემპი შესამჩნევად შენელდება, ამიტომ მრავალი კრიტიკოსი და მწვანეთა მოძრაობის ლიდერი ეჭვქვეშ აყენებს ოქმის მნიშვნელობას, თუ მას გამონაბოლქვების უფრო მნიშვნელოვანი შემდგომი შემცირება არ მოჰყვა.

ოქმის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და რომ UNFCCC-ის მოთხოვნები მომავალშიც გადაიხედება, როცა უკვე აშკარა იქნება ამ შეთანხმების პირველი შედეგები. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატის ცვლილების სამმართველოს ექსპერტთა აზრით, საქართველოში კლიმატის ცვლილების ყველაზე ნეგატიური ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლში ხმელეთის დატბორვითა და მტკნარი წყლის დაბინძურებით გამოვლინდება.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ კლიმატის ცვლილების ყველაზე უარყოფითი შედეგი ტემპერატურის ზრდა და გვალვიანობის ინტენსივობის მატება იქნება. ამას დაემატება ჰაერის ტემპერატურის მაღალ მნიშვნელობათა გახშირება (განსაკუთრებით – მარცვლოვანი კულტურების მომყვან რაიონებში), რაც საგრძნობლად შეამცირებს მოსავლიანობას. ასევე მოსალოდნელია ვაზის კულტურის მოსავლიანობის შემცირება კახეთის რაიონებში. გახშირდება და უფრო ინტენსიური გახდება საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები – გვალვები და წყალდიდობები.

2.7. გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია

2000 წლის 8 სექტემბრის გაეროს მე-8 პლენალურ სხდომაზე, ნიუ იორკში, 147 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს "გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია". მასში ჩამოყალიბებულია მსოფლიოს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების საკითხები, აგრეთვე, წარმოდგენილია გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის პრინციპები.

დეკლარაციაში განსაზღვრულია ათასწლეულის განვითარების მიზნები:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
2. დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა;
3. გენდერული თანასწორობა;
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. აივ/შიდსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
7. ეკოლოგიური მდგრადობა;
8. მსოფლიო თანამშრომლობა განვითარებისათვის.

გაეროს ათასწლეულის მიზნები

(თუ გსურთ მეტი შეიტყოთ გაეროს ათასწლეულის მიზნების შესახებ, ესტუმრეთ ინტერნეტგვერდებს:
https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015/mdgoverview.html;
https://mes.gov.ge/upload/multi/geo/1189755520_GeorgiaMDGRgeo%20(1).pdf)

2.8. გაეროს გლობალური შეთანხმება (UN GLOBAL COMPACT)

გაეროს 2000 წლის გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივაა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური გარემოსა და ეკონომიკის შექმნას. აღნიშნულის მისაღწევად გაეროს გლობალური შეთანხმება მსოფლიოს ქვეყნებს მოუწოდებს, რომ ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას (იხ. მდგრადი განვითარების მიზნები).

2.9. იოჰანესბურგის 2002 წლის სამიტი

UNCED-ის მეათე წლისთავის აღსანიშნავად, 2002 წლის სექტემბერში იოჰანესბურგში მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი (WSSD) ჩატარდა. იოჰანესბურგის 2002 წლის მსოფლიო სამიტმა მდგრადი განვითარების შესახებ ათიათასობით მონაწილე, მათ შორის, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურები, ეროვნული დელეგაციები და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, ასევე ბიზნესები და სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფები გააერთიანა, რათა ყურადღება გაემახვილებინათ მსოფლიოში არსებულ ისეთ რთულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, როგორიცაა ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების

შენარჩუნება მოსახლეობის ზრდას, საკვებსა და წყალზე, თავშესაფარზე, სანიტარიაზე, ენერგეტიკაზე, ჯანმრთელობის სერვისებსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნის პირობებში.

სამიტზე არ მიუღიათ რაიმე კონვენცია ან პრინციპების დეკლარაცია და, ძირითადად, სიღარიბის აღმოფხვრის საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა. იოჰანესბურგის „დეკლარაცია მდგრადი განვითარების შესახებ“ აღნიშნავს, რომ გარემო ჯერ კიდევ განიცდის უარყოფით ზემოქმედებას, თუმცა არ გვთავაზობს ამის მოსაგვარებლად რაიმე კონკრეტულ ქმედებებს, გარდა მდგრადი განვითარების ზოგადი ვალდებულებებისა.

2.10. ბიომრავალფეროვნების საკითხები

2010 წელს ნაგოიაში (იაპონია) ჩატარდა COP10 (მხარეთა კონფერენცია 10) შეხვედრა ბიომრავალფეროვნების შესახებ, სადაც მიღებულ იქნა ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ნაგოიას ოქმი, რომელიც გენეტიკურ რესურსებზე დაშვებასა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანაბარ გადანაწილებას შეეხება.

2.11. RIO+20 და მდგრადი განვითარების მიზნები (SDGS)

2012 წლის 20-22 ივნისს ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია – Rio+20 გაიმართა. მას შედეგად მოჰყვა პოლიტიკური შედეგების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მკაფიო და პრაქტიკულ ნაბიჯებს მდგრადი განვითარების მისაღწევად. სწორედ ამ კონფერენციაზე დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შემუშავების პროცესი. აღნიშნული უნდა ყოფილიყო ათასწლეულის განვითარების მიზნების ბუნებრივი და ბევრად ეფექტური გაგრძელება. ამავე კონფერენციაზე მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის მიმართულებით.

რიო+20-ის ემბლემა

კონფერენცია – Rio+20-ზე ასევე ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარებისთვის (High-level Political Forum on Sustainable Development (HLPF), რომელიც პირველად 2013 წლის 24 სექტემბერს შეიკრიბა და რომელმაც 1993 წლიდან არსებული მდგრადი განვითარების კომისია ჩაანაცვლა.

2012 წლიდან 2015 წლამდე მიმდინარეობდა კონსულტაციები გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების შესამუშავებლად. ამ პერიოდში:

- ✓ 4 მილიონზე მეტი ადამიანი ეწვია სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდს: MyWorld – ჩემი მსოფლიო;
- ✓ 100-ზე მეტ ქვეყანაში ჩატარდა ადგილობრივი კონსულტაციები;
- ✓ 7.3 მილიონზე მეტმა ადამიანმა დააფიქსირა თავისი აზრი გლობალური მიზნების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით, რომელთა 75% – ის ასაკი 30 წლამდე იყო;
- ✓ ჩატარდა 11 გლობალური თემატიკის კონსულტაცია;
- ✓ გაერთიანებული ერების 32 ქვეორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში.

აღნიშნული მაღალი ჩართულობა მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტად ქცევას თითოეული ადამიანისთვის, ბიზნესისა და მთავრობისთვის.

2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს 193 სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ-იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის – მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“.

მდგრადი განვითარების ახალი დღის წესრიგი 17 გლობალურ მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე – 2016 წლიდან 2030 წლამდე.

2.12. პარიზის შეთანხმება

2016 წლის 22 აპრილს ქ. პარიზში (საფრანგეთი) გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში 2016 წლის 22 აპრილს მიიღეს ე.წ. პარიზის შეთანხმება. პარიზის შეთანხმება, რომელსაც 200-მდე ქვეყანა უერთდება, გლობალური ძალისხმევაა „სათბურის ეფექტის“ შესაჩერებლად, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგად „სათბურის გაზების“ ემისიებმა და, შესაბამისად, ატმოსფეროში მათმა ჭარბმა კონცენტრაციამ გამოიწვია.

პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერებას, ძალისხმევის მიმართვას მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრისკენ. ასევე, იგი მოიაზრებს კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებთან ადაპტაციის უნარის გაზრდას.

პარიზის შეთანხმების მიზანია 2030 წლისთვის გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2 °C-მდე შეზღუდვა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, აგრეთვე, ხელშეკრულებაში აღნიშნულია ტემპერატურის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვის მცდელობაც.

2.13. მწვანე შეთანხმება

ევროკავშირი მსოფლიო ლიდერია, როგორც კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე

პლანეტის დაცვის საქმეში. 2019 წლის დეკემბერში წარდგენილი ახალი მწვანე შეთანხმების ინიციატივის ფარგლებში, ევროკავშირი აპირებს, რომ გადადგას შემდეგი ნაბიჯი და 2050 წლისთვის გახდეს პირველი კლიმატნეიტრალური კონტინენტი, რომელზეც:

- ✓ 2050 წლისთვის აღარ მოხდება სათბურის აირების გაფრქვევა;
- ✓ ეკონომიკური ზრდა არ იქნება დამოკიდებული რესურსების მოხმარებაზე;
- ✓ არცერთი ქვეყანა და არცერთი ადამიანი არ დარჩება ამ ინიციატივის მიღმა.

2.14. გლაზგოს სამიტი

გაერომ 2021 წლის ნოემბერში შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში გამართა კლიმატის ცვლილებებისადმი მიძღვნილი კონფერენცია სახელწოდებით – „COP 26“, რომელსაც 200 ქვეყნის 25 ათასი დელეგატი დაესწრო. 1 ნოემბერს გახსნილი შეხვედრის მთავარი მიზანი კლიმატის შესახებ პარიზის 2015 წლის შეთანხმების შესრულების შედეგების შეჯამება იყო. მათი ამოცანაა დედამიწის გადარჩენა გლობალური დათბობისგან და მრეწველობის წინა პერიოდთან შედარებით ტემპერატურის ზრდის 1,5 გრადუსამდე შეზღუდვა.

სამიტის პირველ დღეებში „დიდი ოცეულის“ წევრი ქვეყნების ლიდერთა შეხვედრები გაიმართა, სადაც მათ იმსჯელეს, თუ რამდენად შეასრულა ცალკეულმა ქვეყანამ პარიზის შეთანხმება: შეამცირა სათბურის გაზების

ემისია, გააძლიერა განახლებადი ენერგიის წარმოება და გამოყო ღარიბი ქვეყნებისთვის სახსრები კლიმატურ ცვლილებებთან საბრძოლველად.

გაეროს შემადგენლობაში შემავალი მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ანგარიშში, რომელიც გლაზგოს სამიტისთვის მომზადდა, აღნიშნულია, რომ 2015-2021 წლები ყველაზე ცხელი იყო კლიმატზე დაკვირვების მთელი ისტორიის განმავლობაში. სათბურის ეფექტის მქონე აირების ატმოსფეროში გაფრქვევა ქმნის საფრთხეს „შორს მიმავალი შედეგებით ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის“. ჩვენი პლანეტა „უცნობ ტერიტორიაზე“ შედის.

კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი გამოვლინება მყინვარების დნობაა და ეს პროცესი მხოლოდ ანტარქტიდაში არ ხდება. მაგ., კვლევების მიხედვით, კავკასიონმა ბოლო 20 წელიწადში 320 კვ. კმ ყინული დაკარგა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ეს არის სასმელი წყლის უზარმაზარი მასა, რადგან მყინვარები მტკნარი წყლის ბუნებრივი რეზერვუარებია.

კლიმატის ცვლილებისა და მასთან ბრძოლის მიმართ ყურადღების მიზიდვის მიზნით, ანტარქტიდის ერთ-ერთ მყინვარს, რომელიც ძალიან სწრაფად დნება, „გლაზგო“ უწოდეს, არა როგორც მხოლოდ შოტლანდიის ქალაქის სახელი, არამედ როგორც იმ ადგილის სახელი, სადაც კლიმატის ცვლილების კონფერენცია გაიმართა.

უნდა აღინიშნოს,რომ ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, მსოფლიოს ლიდერები ვერ შეძლებენ შეთანხმებას და მიზნის მიღწევაც ვერ მოხერხდება, რადგან ოთხი ყველაზე მსხვილი დამაბინძურებლიდან სამი – ჩინეთი, რუსეთი და ინდოეთი – მხარს არ უჭერს 2050 წლამდე

სათბურის აირების ემისიის ნულამდე დაყვანას. რუსეთს და ჩინეთს ორიენტაცია აღებული აქვთ 2060 წელზე, ინდოეთს კი საკუთარი პოზიცია არ გამოუხატავს.

ამრიგად, მდგრადი განვითარების მიზნები უმეტესწილად მომავალზეა ორიენტირებული, ხოლო მსოფლიოს წინაშე ჯერაც ბევრი პრობლემა დგას, რომელთა გადაჭრაში მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოების, საზოგადოებისა და სხვადასხვა ინსტიტუტის კოორდინირებულ და ეფექტიან თანამშრომლობას მოითხოვს. მდგრადი განვითარების ისტორია უკვე დაწყებულია, თუმცა მისი წერა დღესაც მიმდინარეობს და ხვალაც გაგრძელდება, ამიტომ თითოეულ მხარეს, თითოეულ ჩევნგანს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი მომავლის შენებაში.

3. მდგრადი განვითარების მიზნები (SDGS)

გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებული იქნა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა.

2014 წლის 19 ივლისს გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDGs) მომუშავე ღია ჯგუფმა ახალი წინადადება წარუდგინა ასამბლეას მდგრადი განვითარების შესახებ.

2015 წელს დასრულდა ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის 15-წლიანი ციკლი და მსოფლიო დადგა განვითარების ახალი გამოწვევების განსაზღვრისა და ახალი მიზნების შემუშავების ამოცანის წინაშე. მსოფლიოს ქვეყნების ერთობლივმა ძალისხმევამ და თანამშრომლობამ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში ნათლად აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ერთიანი გლობალური დღის წესრიგის არსებობა ისეთ გამოწვევებთან გამკლავებისას, როგორიცაა სიღარიბის აღმოფხვრა. მსოფლიომ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია 15 წლის მანძილზე, მაგრამ განვითარების ძირითადი გამოწვევების გლობალური დაძლევა კვლავაც აქტუალურია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ახალი გლობალური დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტებს 2015 წლის შემდეგ. მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანაა, გააგრძელოს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიერ დაწყებული საქმე.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ახდენენ მოქმედების სტიმულირებას ისეთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ადამიანები, პლანეტა, წარმატება, მშვიდობა და პარტნიორობა (5Ps: People, Planet, Prosperity, Peace, Partnership)

გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წლის 25-27 სექტემბერს ნიუ იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე მიიღეს მდგრადი განვითარების მიზნები. გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას, სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრის, კლიმატის და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების დამკვიდრების გზით. მდგრადი განვითარების ახალი სამოქმედო გეგმა 17 მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს.

აღნიშნული შეთანხმების თანახმად, თითოეულმა ქვეყანამ შემდეგი 15 წლის განმავლობაში უნდა გაატაროს რეფორმები მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესასრულებლად. მიზნების შესრულების შეფასებას ყოველწლიურად განახორციელებს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარების შესახებ.

მდგრადი განვითარების მიზნები გლობალური სტრატეგიაა, რომელიც ეხება მთელ მსოფლიოს, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანამ მხარი დაუჭირა მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზნის შესრულებას ეროვნულ დონეზე 2030 წლამდე.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას ყველა მიზნის ერთობლიობის მიმართ. გაეროს განვითარების პროგრამას საუკეთესოდ შეუძლია ამ პროცესის მხარდაჭერა.

მდგრადი განვითარების მიზნები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არაა – ისინი ინტეგრირებულად უნდა განხორციელდეს

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნებისაა და ამავე დროს უნივერსალური გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს, განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებს.

გლობალური განვითარების 17 მიზანი პირდაპირ უკავშირდება, ავსებს ერთმანეთს და აბალანსებს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა

მდგრადობის კომპასი 4 ძირითადი მიმართულებისგან შედგება:

N – ბუნება: გარემო, რესურსები, ნარჩენები, ეკოსისტემები და ჰაბიტატები, წყალი, ენერგია, კლიმატის ცვლილება, ჰაერი, ტყე, ბიომრავალფეროვნება;

E – ეკონომიკა: მოპოვება, წარმოება, მოხმარება, დასაქმება და ინვესტიციები, ვალები, ბიზნესი და ინოვაცია;

S – საზოგადოება: მმართველობა, თანასწორობა, გამჭვირვალობა, უსაფრთხოება, კულტურა, ინსტიტუციური მენეჯმენტი;

W – კეთილდღეობა: ჯანდაცვა, განათლება, თვითგამოხატვა, ბედნიერება, ურთიერთობები, ოჯახი, შემოქმედება და ცხოვრების ხარისხი.

მდგრადობის კომპასი



მდგრადი განვითარების მიზნები მდგრადობის კომპასზე

მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება მრავალმხრივი პროცესია, მასში მონაწილეობენ:

- ✓ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- ✓ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოება;
- ✓ ბიზნესი;
- ✓ მედია.

მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი განხორციელდება გლობალური ინდიკატორების მეშვეობით. ინდიკატორებს რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე

წევრი ქვეყნები შეიმუშავებენ. შეფასებას ყოველწლიურად ჩაატარებს მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი მდგრადი განვითარების შესახებ — ანგარიშს მდგრადი განვითარების პროგრესის შესახებ მოამზადებს გენერალური მდივანი.

მიზნების განხორციელება და წარმატება დამოკიდებულია მდგრადი განვითარების პოლიტიკაზე, პროგრამებსა და გეგმებზე რომლებსაც თავად ქვეყნები განახორციელებენ.

მიზნების ეფექტური განხორციელებისთვის მთავრობები შეიმუშავებენ მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიას, საკუთარ ეროვნულ ინდიკატორებსა და პრიორიტეტებს.

4. მდგრადი განვითარების მიზნების მიმოხილვა

მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მოიცავს:

- ✓ სიღარიბის, ბუნებრივი კატასტროფების, კლიმატის ცვლილების და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოს ფაქტორების ურთიერთკავშირს;
- ✓ სიღარიბესთან დაკავშირებულ სამუშაო პირობებს, მძიმე ფიზიკურ შრომას, ბავშვთა შრომას;
- ✓ შიმშილობას, არასრულფასოვან კვებას, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობას; სიღარიბით გამოწვეული დანაშაულისა და კრიმინალის გაზრდილი რაოდენობას.

მიზნის აქტუალობა:

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის მაჩვენებლები მსოფლიოში 2000 წლისათვის ორჯერ შემცირდა, განვითარებად ქვეყნებში ათიდან 1 ადამიანი საერთაშორისო სტანდარტით სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა (1.90 აშშ $ დღეში), ხოლო მილიონობით ადამიანი ამ თანხაზე ცოტა მეტს გამოიმუშავებს. შედარებით დიდი მიღწევე-

ბი შეინიშნება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, თუმცა აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნების მოსახლეობის 42% უწინდებურად უკიდურესი სიღატაკის პირობებში ცხოვრობს.



მსოფლიოს ქვეყნები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის მიხედვით, % 2020 წელი

სიღარიბე ეს არა მხოლოდ შემოსავლისა და რესურსების უკმარისობაა მდგრად საფუძველზე ცხოვრების საშუალებების უზურუნველსაყოფად. ის ასევე ვლინდება შიმშილსა და საკვების უკმარისობაში, განათლებისა და სხვა სოციალური მომსახურების შეზღუდვაში, სოციალურ დისკრიმინაციასა და იზოლაციაში, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის შეზღუდვაში.

ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს ყოვლისმომცველი, რათა უზურუნველყოფილ იქნეს სტაბილური დასაქმება და თანასწორობა. აუცილებელია სოციალური დაცვის სისტემების გაფართოება და რისკების შემცირება იმ ქვეყნებშიც, რომლებიც სტიქიური უბედურებების ზო-

ნებში მდებარეობენ, რადგან, როგორც წესი, ისინიც ღარიბ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნებიან.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ 2016 წელს მსოფლიოში დასაქმებულთა და მათი ოჯახების დაახლოებით 10 %-ის შემოსავალი დღეში 1.90 აშშ $-ს შეადგენდა; ამასთან, მათი უმეტესობა ძირითადად ორ რეგიონში — სამხრეთ აზიასა და აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ცხოვრობს;

მსოფლიოში 783 მლნ ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს

- ✓ 2016 წელს მსოფლიოში დასაქმებულთა და მათი ოჯახების დაახლოებით 10 %-ის შემოსავალი დღეში 1.90 აშშ

$-ს შეადგენდა; ამასთან, მათი უმეტესობა ძირითადად ორ რეგიონში — სამხრეთ აზიასა და აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ცხოვრობს;

- ✓ გლობალური მასშტაბით, 25-54 წლის ასაკის ყოველ 100 მამაკაცზე 122 ქალი მოდის, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ;
- ✓ სიღარიბის მაღალი მაჩვენებლი ხშირად შეინიშნება არასტაბილურ პატარა ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს კონფლიქტები;
- ✓ ხუთ წლამდე ასაკის ყოველ მეოთხე ბავშვს არა აქვს შესაბამისი ზომა და სიმაღლე;
- ✓ 2016 წელს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 45 %-ს შეეძლო ესარგებლა სოციალური უზურუნველყოფის მხოლოდ ერთი შეღავათით;
- ✓ 2017 წელს სტიქიური უბედურებების შედეგად აშშ-სა და კარიბის რეგიონში მომხდარი ტაიფუნების ჩათვლით, ეკონომიკურმა ზარალმა 300 მლრდ აშშ $-ს მიაღწია;
- ✓ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 9.77% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს (უკიდურესი სიღარიბე იზომება იმ ადამიანების მიხედვით, ვინც დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით ცხოვრობს);
- ✓ მხოფლიო ბანკის ინფორმაციით, ეს ციფრი შემცირდა და 2016 წელს 8.3%-ს შეადგენს.
- ✓ 2021 წელს მსოფლიოს ყველაზე ღარიბი ქვეყნების ათეული ასეთია:

10. ტოგო – მშპ 1084 $
9. მადაგასკარი – მშპ 970 $
8. მალავის რესპუბლიკა – მშპ 874 $
7. ნიგერი – მშპ 829 $
6. ზიმბაბვე – მშპ 778 $
5. ერითრია – მშპ 707 $

4. ლიბერია – მშპ 703 $
3. კონგოს დემოკრატიული
   რესპუბლიკა – მშპ 648 $
2. ბურუნდი – მშპ 642 $
1. ცენტრალური აფრიკის
   რესპუბლიკა – მშპ 301 $

ამოცანები:

- ✓ 2030 წლისათვის შემცირდეს სიღარიბის დონე, მინიმუმ, ნახევრამდე;
- ✓ 2030 წლისათვის მიღწეულ იქნეს, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს ჰქონდეს თანაბარი უფლებები ეკონომიკური რესურსებით, ასევე საბაზო მომსახურების, მიწების ფლობისა და გამოყენების, საკუთრების სხვა ფორმების, ქონების მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების, შესაბამისი ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურების, მათ შორის მიკროდაფინანსების სარგებლობაზე;
- ✓ უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა წყაროებიდან რესურსების მობილიზაცია, მათ შორის თანამშრომლობის აქტივიზაციის საფუძველზე, რათა განვითარებად ქვეყნებში მოხდეს სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრისაკენ მიმართული პროგრამებისა და სტრატეგიების განხორციელება;
- ✓ ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე შეიქმნას საიმედო სტრატეგიული მექანიზმები, რომლებიც დამყარებულია განვითარების ისეთ სტრატეგიებზე, სადაც გათვალისწინებულია სიღარიბის ლიკვი-

დაციისკენ მიმართული დაჩქარებული ინვესტიციების ინტერესები და გენდერული ასპექტები;

- ✓ 2030 წლის მიზანია, რომ სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი 1%-ზე ნაკლები იყოს. ყველა ქალს და კაცს უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან დაკავშირებით;
- ✓ ღარიბი და მოწყვლადი ადამიანები არსებითად დაფარული უნდა იყვნენ სოციალური სერვისებით, კერძოდ, 2030 წლისთვის ამ სოციალური სერვისების საჭიროების მქონე მოსახლეობის, მინიმუმ, 35% უნდა იყოს დაფარული.

მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

მოიცავს:

- ✓ კლიმატის ცვლილების, ნიადაგების ეროზიისა და გაუდაბნოების, საკვების უსაფრთხოების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებსა თუ მიზეზებს. მათს შორის კავშირს;
- ✓ მდგრადი სოფლის მეურნეობის კონცეფციასა და პრინციპებს, კლიმატმედეგობის პრაქტიკას, ორგანულ ფერმერობას, ბიოდინამიკურ ფერმერობას, მონოკულტურებსა და მულტიკულტურებს, აგრომეტყევეობას.

მიზნის აქტუალობა:

დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენი პლანეტის სასოფლო სამეურნეო სავარგულები, მტკნარი წყლის მარაგი, ოკეანეები, ტყეები და ბიომრავალფეროვნება უსწრაფესი ტემპებით იწურება და სწრაფად დეგრადირდება. კლიმატის ცვლილება სულ უფრო და უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს იმ რესურსებზე, რომლებზეც ჩვენ დამოკიდებული ვართ. და თუ დღეს ჩვენ გვსურს

საკვებით მოვამარაგოთ 825 მლნ მოშიმშილე ადამიანი, ასევე 2050 წლისათვის საშიმშილოდ განწირული, სავარაუდოდ, კიდევ 2 მლრდ კაცი, სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ სისტემაში აუცილებელია კარდინალური ცვლილებები.

მოხმარების იდეალურ პირობებში სასოფლო, ხეტყისა და თევზის მეურნეობებს შეუძლიათ სრულფასოვანი კვებით უზრუნველყონ ყველა ადამიანი, ისე რომ დაიცვან თითოეული მათგანის ინტერესები სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის კონტექსტში.



მსოფლიოს ქვეყნები, სადაც 5 მლნ-ზე მეტი ადამიანი შიმშილობს, %, 2020 წელი

კვების პროდუქტების წარმოების სექტორი და სოფლის მეუნეობა გვთავაზობს შემდგომი განვითარების ისეთ ძირეულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ ცენტრალურ ფაქტორებს შიმშილის აღმოფხვრისა და სიღარიბესთან ბრძოლის სფეროში.

ფაქტები და ციფრები:

შიმშილი

მსოფლიოში, დაახლოებით, 825 მლნ ადამიანი შიმშილობს.

მოშიმშილეთა უდიდესი ნაწილი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს

- ✓ სამხრეთ აზიის ქვეყნებში – 281 მლნ ადამიანი, ხოლო აფრიკაში საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში მთელი მოსახლეობის, დაახლოებით, 23% შიმშილობს.
- ✓ მუდმივი შიმშილის გამო ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკის 3.1 მლნ ბავშვი იღუპება.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში უმცროსი სასკოლო ასაკის 66 მლნ ბავშვი გაკვეთილებზე მშიერი მიდის. ამასთან, ასეთი ბავშვების რაოდენობა აფრიკის ქვეყნებში 23 მლნ-ს აღწევს.

სასურსათო უზრუნველყოფა:

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 40% დასაქმებულია სასოფლო სამეურნეო სფეროში. სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია მსოფლიოში და შემოსავლისა და სამუშაო ადგილების ყველაზე დიდი წყარო ღარიბი სოფლის დიასახლისებისათვის.

ქალ ფერმერებს რესურსებთან ისეთივე წვდომა რომ ჰქონდეთ, როგორც მამაკაც ფერმერებს აქვთ, მოშიმშილეთა რიცხვი მსოფლიოში 150 მლნ-მდე შემცირდებოდა.

მსოფლიოში ვერ იყენებს ელექტროენერგიას, 4 მლრდ-მდე ადამიანი, რომელთა უმეტესობა განვითარებადი ქვყნების სასაოფლო დასახლებებში ცხოვრობს. მსოფლიოს ბევრ რეგიონში სწორედ ენერგეტიკული სიღარიბეა მთავარი დაბრკოლება შიმშილის მასშტაბების შესამცირებლად და საკმარისი რაოდენობით სასურსათო პროდუქციის საწარმოებალდ.

ამოცანები:

2030 წლისთვის უნდა აღმოიფხვრას შიმშილი ყველასთვის, განსაკუთრებით, ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის. ჩვილებისთვის მთელი წლის განმავლობაში ნოყიერი და უსაფრთხო საკვები უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სტატისტიკა ამის შესახებ სახელმწიფოს არ აქვს და აქ საბაზისო ინდიკატორი 2018 წელს უნდა განისაზღვროს.

2030 წლისათვის აღმოიფხვრას არასრულფასოვანი კვების ყველა ფორმა, მათ შორის, განსაკუთრებით, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში, გარდატეხის ასაკის გოგონების, ორსული და მეძუძური ქალების და ხანდაზმული ადამიანების მიმართულებით.

2030 წლისათვის გაორმაგდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და სასურსათო პროფილის მცირე საწარმოების შემოსავლები, განსაკუთრებით კი, ქალების, აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენლების, საოჯახო ფერმერული მეურნეობების, მესაქონლეებისა და მეთევზეების მიმართულებით.

2030 წლისათვის შეიქმნას კვების პროდუქტების წარმოების მდგრადი სისტემები და სოფლის მეურნეობაში დაინერგოს ისეთი მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია პროდუქტიულობის ზრდაზე, ხელს უწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, კლიმატის ცვლილებასა და ამინდის ექსტრემალურ მოვლენებთან ადაპტირებას და თანდათან აუმჯობესებს მიწისა და ნიადაგის ხარისხს.

2030 წლისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მცენარეთა თესლებისა და კულტივირებული მცენარეების გენეტიკური მრავალფეროვნების, ასევე სასოფლო-სამეურნეო შინაური ცხოველების და მათი შესაბამისი გარეული სახეობების შენარჩუნება ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე, ფართოდ ხელმისაწვდომი გახდეს გენეტიკური რესურსები და მათთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა ერთობლივი გამოყენებისათვის.

საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით გაიზარდოს ინვესტიციები სასოფლო ინფრასტრუქტურების, სასოფლო-სამეურნეო კვლევე-

ბისა და აგროპროპაგანდის, ტექნოლოგიების განვითარების სფეროებში და შეიქმნას მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური ბანკები განვითარებადი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალის განმტკიცების მიზნით.

მიღებულ იქნეს ზომები სასურსათო საქონლისა და პროდუქციის და მათი მოხმარების ბაზრების ფუნქციონირებისა და საბაზრო ინფორმაციასთან დროულად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

მოიცავს:

- ✓ ირიბ სტრატეგიებს (ჯანდაცვის სისტემა) ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჯანმრთელობისა და კეთილ-დღეობის წასახალისებლად. მაგ., დაზღვევის პროგ-რამები, ხელმისაწვდომი ფასები მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, რეპროდუქციული ჯან-მრთელობის სერვისებზე, ნარკოტიკების პრევენცია, ცოდნის ხელმისაწვდომობა ამ მიმართულებით მ.შ. ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ✓ დამაბინძურებლების შემცირებას, წინასწარი შე-ტყობინების სისტემების ამუშავებას;
- ✓ ქიმიკატებსა და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბი-ნძურებას.

მიზნის აქტუალობა:

ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნვე-ლყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მდგრადი განვი-თარების მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ მიმართულებით ისეთი მნიშვნელოვანი ღონიძიებები ტარდება, როგორი-ცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა და

დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზებთან ბრძოლა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ისეთ სფეროებში, როგორიცაა სუფთა სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა და სანიტარია, მალარიით, ტუბერკულოზითა და პოლიომიელიტით დაავადებულთა რიცხვის შემცირება, ასევე შიდსის გავრცელების შემცირება.



1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა მსოფლიოს ქვეყნებში

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ჯანდაცვის სფეროში არსებული მრავალფეროვანი ახალი და ძველი პრობლემების მთლიანად აღმოსაფხვრელად კიდევ მეტი ძალისხმევაა საჭირო.

ფაქტები და ციფრები:

ბავშვთა ჯანმრთელობა:

✓ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი მსოფლიოში 2012 წელს 6.3 მლნ-ს უდრი-

და და 1990 წელთან შედარებით, თითქმის 2-ჯერ იყო შემცირებული;

- ✓ 2000 წლის შემდეგ წითელას წინააღმდეგ ვაქცინაციამ 15,6 მლნ-ით შეამცირა სიკვდილიანობა ბავშვებში;
- ✓ მთელ მსოფლიოში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის რიგითი შემთხვევიდან ოთხი, როგორც უწინ, ისევ აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებსა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში ფიქსირდება.

დედების დაცვა:

- ✓ 2000 წლიდან დედების სიკვდილიანობა 37%-ით შემცირდა;
- ✓ აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში დედების სიკვდილიანობა, დაახლოებით, 2/3-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, განვითარებად ქვეყნებში დედების სიკვდილიანობა 14-ჯერ უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით;
- ✓ ბევრ განვითარებად ქვეყანაში შემცირდა შობადობა მოზარდებს შორის, თუმცა ამ მიმართულებით პროგრესი შენელებულია;

- ✓ კონტრაცეპტივების გამოყენება ბევრ რეგიონში გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები ოჯახის დაგეგმვის კუთხით.

შიდსი, მალარია და სხვა დაავადებები:

- ✓ 2014 წლის ბოლოსთვის მთელ მსოფლიოში 13,6 მლნ ადამიანს ჰქონდა ანტირეტროვირუსული თერაპიის გამოყენების შესაძლებლობა;
- ✓ 2013 წელს შიდსის ვირუსით ინფექცირებულთა ახალმა შემთხვევებმა 2.1. მლნ-ს მიაღწია, რაც 38%-ით ნაკლებია 2001 წელთან შედარებით;
- ✓ 2013 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში 35 მლნ ადამიანი იყო დაავადებული შიდსის ვირუსით;
- ✓ მთელ მსოფლიოში მოზარდი გოგონები და ახალგაზრდა ქალები განიცდიან გენდერულ უთანასწორობას, დისკრიმინაციას და არიან ძალადობის მსხვერპლნი, რაც ზრდის მათი შიდსის ვირუსით დაინფიცირების რისკებს;
- ✓ შიდსი რეპროდუქციული ასაკის ქალების სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია;
- ✓ მალარიით დაავადებულთა რიცხვი მსოფლიოში 37 %-ით შემცირდა, ხოლო ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობა 58%-ით;
- ✓ 2000-2013 წლებში 37 მლნ ადამიანის სიცოცხლე იქნა გადარჩენილი ტუბერკულოზის პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კუთხით გატარებული ღონისძიებების წყალობით;
- ✓ 1990-2013 წლებში ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა 45%-ით შემცირდა, ხოლო ამ დაავადების გავრცელება 41%-ით.

ამოცანები:

- ✓ ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისთვის;
- ✓ 2030 წლისთვის შემცირდეს დედების სიკვდილიანობის გლობალური კოეფიციენტი ყოველ 100 000 ახალშობილზე 70-მდე;
- ✓ 2030 წლისთვის შემცირდეს ახალშობილთა და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი;
- ✓ 2030 წლისთვის დასრულდეს შიდსის, ტუბერკულოზის, მალარიისა და სხვა ტროპიკული დაავადებების ეპიდემიების გავრცელება, ასევე გაგრძელდეს ბრძოლა ჰეპატიტთან და სხვა ინფექციურ დაავადებებთან;
- ✓ 2020 წლისთვის მთელ მსოფლიოში 2-ჯერ შემცირდეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისგან გამოწვეული სიკვდილიანობა და ტრავმები;
- ✓ 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდეს სიკვდილიანობისა და დაავადებების მაჩვენებლები, რომლებიც გამოწვეულია საშიში ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებით;
- ✓ ყველა ქვეყანაში აუცილებლობის შემთხვევაში გააქტიურდეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ჩარჩო ხელშეკრულება თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- ✓ გაეწიოს დახმარება მეცნიერებსა და მკვლევარებს, რათა შექმნან ვაქცინები და სამკურნალო პრეპარატები ინფექციური და არაინფექციური დაავადებების სამკურნალოდ, რომლებიც უპირველესად განვითარებად ქვეყნებშია გავრცელებული.

საქართველო

2030 წლისთვის საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 100 000 ცოცხლად შობილ ბავშვზე 12 შემთხვევამდე უნდა შემცირდეს. 2015 წლის სტატისტიკით, ეს მაჩვენებელი ყოველ 100 000 ბავშვზე 32 შემთხვევა იყო.

2030 წლისთვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა პრევენცირებადი სიკვდილიანობა უნდა აღმოიფხვრას. 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 შემთხვევაზე 1-მდე უნდა შემცირდეს (2015 წლის მონაცემებით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 10.2-ს უდრის), ხოლო ნეონატალური სიკდილიანობის მაჩვენებელი ყოველ 1000 ბავშვზე 5-მდე უნდა შემცირდეს (2015 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 6.1-ს უდრის).

2030 წლისთვის მისაღწევი ამოცანაა აკრძალული ნივთიერებების, მათ შორის, ნარკოტიკული და ალკოჰოლური საშუალებების მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება. კერძოდ, ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი ოპოიდური ნარკოტიკების მომხმარებლების რიცხვი 60%-მდე გაიზარდოს (2015 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 15%-ის ტოლია). ალკოჰოლის შემთხვევაში კი ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმრება 18%-მდე უნდა შემცირდეს.

2030 წლისთვის ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 25-30%-ით უნდა შემცირდეს. შსს-ს სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს 6 432 ავტოსაგზაო შემთხვევა არის რეგისტრირებული, საიდანაც 602 ადამიანი დაიღუპა.

2030 წლისთვის საქართველოში უნდა გაძლიერდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს

ჩარჩო კონვენციის კონტროლის გაძლიერება და 15 წლამდე და უფროსი ასაკის ადამიანებში თამბაქოს მოხ-მარების მაჩვენებელი 20%-მდე შემცირდეს. 2010 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 30.3%-ს უდრის.

მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

მოიცავს:

- ✓ განათლება მდგრადი განვითარებისთვის კონცეფციას (ESD), როგორც ერთიან ინსტიტუციურ მიდგომას და როგორც საკვანძო სტრატეგიას მდგრადი განვითარების მისაღწევად;
- ✓ ახალგაზრდებისა და მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერებას.

მიზნის აქტუალობა:

განათლება განვითარების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა.

ხარისხიანი განათლება ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საფუძველია. კარგი მიღწევებია სასკოლო განათლებაში ქალებისა და გოგონების ჩართულობის მიმართულებით.



განათლების დონე მსოფლიოს ქვეყნებში, %, 2020 წელი

მართალია, უკვე შეინიშნება საბაზისო წიგნიერების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება, თუმცა ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფის კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მაგალითად, მსოფლიოში დაწყებითი განათლების მისაღებად არათანაბარი პირობები ბიჭებისა და გოგონებისთვის.

2000 წლიდან უზარმაზარი პროგრესია მიღწეული დაწყებით განათლებაში. განვითარებად რეგიონებში დაწყებითი სკოლებით მოცვის დონემ 91%-ს მიაღწია. ახლა აუცილებელია ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება - მიზანია საყოველთაო და ხარისხიანი სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

განათლება არის კეთილდღეობის ძირითადი კომპონენტი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის შესაფასებლად; ის მთავარი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს, არის თუ არა ქვეყანა განვითარებული ან განვითარებადი.

განათლების ინდექსი, მშპ-სა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან ერთად, ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტია; აგი-ს ყოველწლიურად აქვეყნებს გაეროს განვითარების პროგრამა.

2010 წლიდან განათლების ინდექსი იზომება საშუალო ასაკის ზრდასრულთა სწავლისა და 25 წლამდე ასაკის სტუდენტებისთვის სასკოლო წლების შერწყმით, რომელთაგან თითოეულის ხვედრითი წილი 50%-ია.



მსოფლიოს ქვეყნების დინამიკა განათლების ინდექსის მიხედვით, 1990-2019 წწ.
წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Education_Index#/media/File:UNDP_Education_Index_(1990_-_2019).gif
შენიშვნა: რუკა ინტერაქტიურია და შეგიძლიათ ბმულზე იხილოთ

ფაქტები და ციფრები:

- ✓ მსოფლიოში მრავალი ბავშვი სიღარიბის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა საგანგებო მდგო-

მარეობების გამო სკოლის მიღმა რჩება. მთელ მსოფლიოში სასკოლო ასაკის, დაახლოებით, 57 მლნ ბავშვი არ დადის სკოლაში. მათი უმრავლესობა აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ცხოვრობს.

მთელ მსოფლიოში 617 მლნ მოზარდს არა აქვს მათემატიკისა და წერა-კითხვის ძირითადი უნარები

ამოცანები:

- ✓ 2030 წლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ყველა ბიჭმა და გოგონამ მიიღოს უფასო, თანაბარუფლებიანი და ხარისხიანი დაწყებითი საშუალო განათლება;
- ✓ 2030 წლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ყველა ქალმა და მამაკაცმა შეძლოს ხარისხიანი პროფესიული და უმაღლესი, მათ შორის საუნივერსიტეტო განათლების მიღება;

- ✓ 2030 წლისათვის აღმოფხვრილი იქნეს გენდერული უთანასწორობა განათლების სფეროში;
- ✓ 2030 წლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ ყველა ახალგაზრდამ და უფროსი ასაკის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მათ შორის, როგორც კაცმა, ისე ქალმა შეძლოს წერა, კითხვა და ანგარიში;
- ✓ შეიქმნას და სრულყოფილ იქნეს სასწავლო დაწესებულებები მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. უზურუნველყოფილი უნდა იქნეს უსაფრთხო, ძალადობისგან და სოციალური ბარიერებისგან თავისუფალი სასწავლო დაწესებულებები და შეიქმნას ყველასთვის ეფექტური სასწავლო გარემო;
- ✓ 2030 წლისათვის გაიზარდოს კვალიფიციური მასწავლებლების რიცხვი, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში.

საქართველო

საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია ქვეყანაში განათლების ყველა (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) საფეხურზე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება.

მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ზოგადი განათლების ხარისხის ასამაღლებლად საგანმანათლებლო სისტემა უნდა დაეფუძნოს თანამედროვე, მეცნიერულად გამყარებულ ხედვასა

თუ კონცეფციას. ამ საერთო ხედვის შესაბამისად, დაიგეგმება და განხორციელდება სისტემის საქმიანობა: უზრუნველყოფილი იქნება განათლების სექტორების ჰარმონიზაცია, განათლების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა (სკოლამდელი-ზოგადი-პროფესიული-უმაღლესი განათლება მთელი ცხოვრების განმავლობაში), სასწავლო პროგრამების დახვეწა და განვითარება, მასწავლებელთა კორპუსის გაძლიერება მათი პროფესიული განვითარების, მოტივაციის ამაღლებისა და სისტემაში ახალი პროფესიონალების მოზიდვის გზით, სკოლების ფიზიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება. აღნიშნული მიმართულებების განხორციელება საჭიროებს დაფინანსების ეფექტიან მექანიზმებს. ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება სკოლამდელი განათლების სექტორი სასკოლო მზაობის, საბავშვო ბაღების სერვისის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განვითარების გზით.

2030 წლისთვის დაწყებითი და საშუალო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვების 100%-ისთვის.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს სასკოლო მზაობის პროგრამა.

პროფესიული განათლების სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს:

- ✓ პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესებას;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობის გაძლიერებას შრომის ბაზრისა და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად;

- ✓ ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული სტანდარტების და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას;
- ✓ ოპტიმალური პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით;
- ✓ დაფინანსების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- ✓ საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფისთვის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- ✓ პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარებას;
- ✓ პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა მომზადებასა და გადამზადებას თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერებას – კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფას.

2030 წლისთვის უნდა გაიზარდოს ხარისხიან ტექნიკურ, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

2030 წლისთვის პროფესიულ განათლებამიღებულთა 60% დასაქმებული ან თვითდასაქმებული უნდა იყოს.

ძლიერი უმაღლესი განათლების სისტემისა და მეცნიერების განვითარება საქართველოს მთავრობისთვის

ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უწყობს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნას. უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოიპოვოს საერთაშორისო ნდობა, მოამზადოს ლოკალური და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის შესაქმნელად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შექმნა.

2030 წელს განათლების ყველა პროგრამა სავალდებულო სახით უნდა მოიცავდეს გლობალური მოქალაქეობის ჩამოყალიბებისკენ მიმართულ განათლებას. სასწავლო გეგმა კი მოიცავდეს თემებს: მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, მშვიდობა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობა, გლობალური მოქალაქეობა და ა.შ.

2030 წლისთვის სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების 100%-ს პროფესიული განვითარების ტრენინგი უნდა ჰქონდეს გავლილი.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

მოიცავს:

- ✓ გენდერული თანასწორობის გამჭვირვალობის გაზრდას და სხვადასხვა სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობების აღმოფხვრას;
- ✓ ქალთა როლის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდას. ქალების სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას.

მიზნის აქტუალობა:

გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით – დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები,

სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი,შედარებით ახალი ფენომენია და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად.

გენდერული თანასწორობა ადამიანის არა მხოლოდ ძირითადი უფლებაა, არამედ აუცილებელია მშვიდობისა და მდგრადი განვითარების მისაღწევად.



გენდერული უთანასწორობის ინდექსი მსოფლიოს ქვეყნებში
რუკის ლეგენდა: *მწვანე – დაბალი დონე, წითელი – მაღალი დონე*

პლანეტაზე, სადაც 7.9 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და სადაც ნახევრზე მეტს ქალები წარმოადგენენ, მიწის მესაკუთრე ქალთა რაოდენობა მხოლოდ 1%-ია. მსოფლიოში, მიუხედავად პროგრესისა, გენდერული უთანასწორობა კვლავ აქტუალურია. ჯერ კიდევ არსე-

ბობს მნიშვნელოვანი უთანასწორობა სამუშაოსა და ანაზღაურების მხრივ, ქალების შრომის ნაწილი ანაზღაურების გარეშეა, არსებობს სხვა დისკრიმინაციის ფორმებიც.

ამავდროულად, 2000 წელთან შედარებით, გოგონების უმრავლესობისთვის დაწყებითი საფეხურზე მიღწეულია გენდერული თანასწორობა. მდგრადი განვითარებით უნდა აღმოფხვრას ქალებისა და გოგონების დისკრიმინაცია.

მუსულმანურ სამყაროში არსებული სიტუაცია ქალების უკიდურესად რთულ მდგომარეობაში ყოფნას უსვამს ხაზს

ფაქტები და ციფრები:

- ✓ პლანეტაზე, სადაც 6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს და ნახევრზე მეტს ქალები წარმოადგენენ, მიწის მესაკუთრე ქალთა რაოდენობა მხოლოდ 1%-ია;
- ✓ სქესის ნიშნის მიხედვით ჩაგვრის შედეგად აფრიკაში ყოველდღიურად, დაახლოებით, 6 ათას გოგონას უტარებენ გენიტალურ მუტილაციას (სასქესო ნაწი-

ლის ჩამოცლა ამა თუ იმ ზომის დისტალური ნაწილის ნეკროზის დროს);

- ✓ გასული საუკუნის 90-იან წლებში კოსოვოში შეიარაღებული კონფლიქტის დროს 30 ათასიდან 50 ათასამდე ქალი გააუპატიურეს;
- ✓ საქართველო მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით, 134 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა.

საქართველო

- ✓ 2030 წლისთვის უნდა არსებობდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა, რომელსაც ექნება კონკრეტული ბიუჯეტი და რომლის განხორციელებაზე მონიტორინგი დაწესდება;
- ✓ 2030 წლისთვის ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალების 30% უნდა იყოს დასაქმებული (2016 წელს ეს მაჩვენებელი 11.6%-ია), პარლამენტის წევრების 30% ქალი უნდა იყოს (2015 წელს 16% იყო), პირდაპირი წესით არჩეული მერის 30% ქალი უნდა იყოს (დღეს ეს მაჩვენებელი ნულია), გუბერნატორების 30%-იც ქალი უნდა იყოს, საჯარო სამსახურში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ასევე 30% უნდა იყოს ქალი, ხოლო სასამართლო სისტემაში – 20%. გენდერული ნიშნით ხელფასში განსხვავება 20%-მდე უნდა შემცირდეს.

მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

მოიცავს:

- ✓ თანაბარი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას სუფთა, სასმელ წყალზე (სოციალური და ეკონომიკური ზეწოლის ფონზე გამკლავება, ერთი მხრივ, სითბურ ტალღებთან, გვალვებთან, ხოლო მეორე მხრივ, ჭარბწყლიანობასთან წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების გამო);
- ✓ წყლის რესურსების ნაკლებობას (ეკონომიკური და ფიზიკური დეფიციტი);
- ✓ წყალთან დაკავშირებულ დაავადებებს;
- ✓ წყლის დაზოგვას;
- ✓ სანიტარიასთან დაკავშირებულ აქტივობებს;
- ✓ წყლის შეგროვებას;
- ✓ წყლის პროგრამებს;
- ✓ წყლის ტექნოლოგიებს – გამტკნარებას, გაფილტვრას, რეციკლირებასა და ხელახალ გამოყენებას;
- ✓ დაცულ წყალშემკრებ ლანდშაფტებს;
- ✓ წყლის რესურსების მართვას.

მიზნის აქტუალობა:

მოსახლეობის სუფთა და ხარისხიანი წყლით უწყვეტი მომარაგება ნებისმიერი ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხია. ჩვენს პლანეტაზე მტკნარი წყლის მარაგი საკმარისია იმისთვის, რომ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრას. მაგრამ არაგონივრული ეკონომიკისა და სუსტი ინფრასტრუქტურის შედეგად ყოველ წელს მილიონობით ადამიანი, რომელთა უმეტესი ნაწილი ბავშვებია, სწორედ იმ დაავადებების გამო იღუპება რომლებიც არაადეკვატური წყალმომარაგებით, ანტისანიტარიითა და ჰიგიენური ნორმების დაუცველობითაა გამოწვეული.



მსოფლიოს ქვეყნები წყლის ფიზიკური და ეკონომიკური დეფიციტის მიხედვით

წყლის ეკონომიკური დეფიციტი (Economic water scarcity) გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი. სწორედ ამგვარი დეფიციტი წარმოაჩენს ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანა-

სწორობას. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. სიღარიბეს ემატება პოლიტიკური და ეთნიკური მიზეზებიც.

წყლის ეკონომიკური დეფიციტი, მოსახლეობის სიღარიბესთან ერთად, ბუნებრივი მატებითაც არის განპირობებული, რაც წყალზე მოთხოვნას თავისთავად ზრდის. გარდა ამისა, იზრდება მოთხოვნა საკვებსა და ბიოსაწვავზე, ამის შედეგად კი ირიგაციისთვის სულ უფრო მეტი წყალი მოიხმარება.

წყლის უკმარისობა, წყლის ცუდი ხარისხი და არაადეკვატური სანიტარული პირობები ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ სასურსათო უსაფრთხოებაზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე. სავარაუდოდ, 2050 წლისათვის დედამიწის თითქმის ყოველი მეოთხე მოსახლე იცხოვრებს ქვეყანაში, სადაც ადგილი ექნება მტკნარი წყლის ქრონიკულ ან პერიოდულ უკმარისობას.



მსოფლიოს ქვეყნები მტკნარი წყლით უზრუნველყოფის მიხედვით (ათასი. კუბ. მ 1 სულ მოსახლეზე წელიწადში)

მტკნარი წყლის პრობლემა დედამიწაზე მრავალ ქვეყანასა და ადამიანს აწუხებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 1/3-ია სუფთა წყლის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფილი.

ხარისხიანი წყლით უწყვეტ მომარაგებასა და სანიტარიას, ასევე მტკნარწყლიანი ეკოსისტემების რაციონალურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ეკოლოგიური მდგრადობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის.

წყალში უამრავი მინარევი შეიძლება აღმოჩნდეს: ქლორი, ორგანული ნაერთები, უხსნადი ნაწილაკები, მძიმე მეტალები და სხვა მინარევები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩვენს ჯანმრთელობაზე არასახარბიელოდ მოქმედებს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინფორმაციით, ყოველწლიურად, დაახლოებით, 842 000 ადამიანი საფრთხის შემცველი წყლის მოხმარებით, ხელების ჰიგიენის დაუცველობითა და ანტისანიტარული პირობებით გამოწვეული მწვავე დიარეით იღუპება.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყალი და სანიტარული პირობები ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი.
- ✓ მოსახლეობის 40%-ზე მეტი წყლის უკმარისობას განიცდის. პროგნოზული გათვლებით, კლიმატის ცვლილებასთან ერთად ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

არსებული ტენდენციებით, 2050 წლისათვის, სავარაუდოდ, ოთხი ადამიანიდან ერთს წყლის დეფიციტი ექნება

- ✓ 1990-2015 წლებში გაუმჯობესებული სასმელი წყლით მოსარგებლე ადამიანების რიცხვი 76-დან 91%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ჯერ კიდევ 1,8 მლრდ ადამიანი ფეკალური მასებით დაბინძურებული წყლით სარგებლობს;
- ✓ საშუალოდ, დედამიწაზე 1 ადამიანზე 24 646 კუბ. მ (2 4650 000 ლ) წყალი მოდის წელიწადში;
- ✓ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად დაბინძურებული წყლების 80% სხვა მდინარეებში და ზღვებსა თუ ოკეანეებში გაწმენდის გარეშე ჩაედინება;
- ✓ მდინარეების, ტბებისა და მიწისქვეშა წყლების, დაახლოებით, 70% სარწყავად გამოიყენება;
- ✓ მსოფლიოში სტქიური უბედურებების დროს ადამიანთა 70% წყალდიდობებისა ან წყალთან დაკავშირებული სხვა კატასტროფების გამო იღუპება.

მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა

მოიცავს:

- ✓ ენერგიის სახეებს – განახლებადი, მზის, ქარის, გეოთერმული, მიქცევა-მოქცევის;
- ✓ ენერგიის ეფექტიანობასა და დაზოგვას;
- ✓ ენერგიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ფაქტორებს (მაგ., დიდი მასშტაბის ჰელიოსადგური, ან ჰესი) და პოლიტიკურ, ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტებს; ადგილობრივ მოსახლეობასთან, ენერგიის წარმოებასთან, მიწოდებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

მიზნის აქტუალობა:

ენერგიას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ყველა იმ პრობლემის გადასაწყვეტად თუ შესაძლებლობის გამოსაყენებლად, რომლებიც დღევანდელ სამყაროში არსებობს. იქნება ეს სამუშაო ადგილები, უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, საკვები პროდუქციის წარმოება ან შემოსავლების გაზრდა – ენერგიის წყაროებთან წვდომა ყველასთვის განმსაზღვრელი ფაქტორია. ამი-

ტომ მეტად მნიშვნელოვანია ალტერნატიული წყაროების გამოყენება.

ალტერნატიულ რესურსებს – მზის, ქარის, წყლის, ზღვის ტალღების, ბიომასის, გეოთერმულ ენერგიას განახლებადი ენერგიის წყაროები ეწოდება. ისინი ბუნებრივად მოცემული ენერგიის წყაროებს წარმოადგენენ, რომლებიც, სანამ დედამიწა და მზე იქნება, არ ამოიწურება და მუდმივად განახლდება.

მეტად მნიშვნელოვანია ალტერნატიული რესურსების ძიებისა და გამოყენების საკითხი, რაც ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროც გახდება ენერგიის მიღების პარალელურად კაცობრიობის პროგრესის შესანარჩუნებლად.



ენერგიის ალტერნატირული წყაროების გეოგრაფია

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი ეფექტურად გამოყენების საკითხს, ენერგოეფექტურობა კონკრეტული პროდუქტისა თუ მომსახურების შექმნისთვის საჭირო ენერგიის რაოდენობის შემცირებას გულისხმობს, რომელიც ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითა-

რებითა და სამომხმარებლო ჩვევების ჩამოყალიბებით არის შესაძლებელი.

მდგრადი ენერგეტიკა აუცილებელია ეკონომიკის გასაძლიერებლად, ეკოსისტემების დასაცავად და სამართლიანობის მისაღწევად.

ენერგოეფექტურობის ორი ძირითადი მიდგომა – ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები ენერგიის მოხმარების შემცირების პირველადი წყაროებია. ენერგოდაზოგვა ნაკლები ენერგიისა და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენებას ნიშნავს, რომელიც ძირითადად ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ენერგომოხმარების ჩვევებს ასახავს. მარტივად, ეს შეიძლება ნიშნავდეს სინათლის ან გათბობის გამორთვას იქ, სადაც საჭიროებას არ წარმოადგენს. ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მაღალეფექტური მოწყობილობებია, რომლებიც იმავე მომსახურების/პროდუქტის საწარმოებლად ნაკლებ ენერგიას მოიხმარს. ეს შეიძლება იყოს ფლუორესცენციული ნათურა, რომელიც ჩვეულებრივ ვარვარა ნათურასთან შედარებით იმავე ნათების პირობებში, 5-ჯერ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და 10-ჯერ მეტ ხანს ძლებს.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ მსოფლიოში ყოველ მეხუთე ადმიანს არა აქვს ელექტროენერგია;
- ✓ ენერგეტიკა დომინანტი ფაქტორია კლიმატის ცვლილების სფეროში, რადგან მასზე სათბური გაზების გლობალური გამონაბოლქვის 60% მოდის;

- ✓ ენერგეტიკის განსაკუთრებულ როლს კლიმატის ცვლილების პრობლემის განხილვისას განაპირობებს მისი უნივერსალური ხასიათი და ზეგავლენა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე; ამას გარდა, ენერგეტიკა ყველაზე დიდი ემიტორია ეკონომიკის სექტორებს შორის.

საქართველო

საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტებით მუშობა:

- ✓ წყლის რესურსები: კლების ტენდენციის შესწავლა და პროგნოზირება; წყალსაცავების მშენებლობა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დროს წყლის დაგროვებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისათვის; ჰესების, როგორც წყალდიდობა-წყალმოვარდნების მარეგულირებელი ფუნქციის სრულყოფა; აშენებული, მშენებარე და დაგეგმილი ჰესების პარამეტრებში წყლის კლების „კლიმატური“ ტენდენციის გათვალისწინება; მყინვარების დნობის შესახებ მოწინავე გამოცდილების შესწავლა (მაგ. შვეიცარია) და კვლევა; წყლის გამოყენების ნორმებისა და ტარიფების სრულყოფა; ჩამდინარე წყლების გადამუშავების მოდერნიზაცია მათი შემდგომი გამოყენების პერსპექტივით;
- ✓ ენერგოეფექტურობის ამაღლება: მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა ყველა სფეროში, რომლებიც უზრუნველყოფს ენერგიის ეფექტურ გამოყენებას; ენერგოდანაკარგების შემცირება წარმოებაში, გადაცემასა და მოხმარებაში; საბინაო სექტორში ენერგი-

ის დამზოგავი შენობების დამკვიდრება; არსებული შენობების დათბუნების / იზოლირების ღონისძიებების გატარება; სამშენებლო ნორმების შეცვლა ენერგოეფექტური ზომების დანერგვით; წარმოების „ნარჩენი სითბოს“ გამოყენების ხელშეწყობა; „მწვანე/სუფთა“ შენობების (რომელშიც ენერგიის დაზოგვა ხდება) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; სენსორული განათების სისტემების დანერგვა შენობებში; ენერგოეფექტური ნათურების დანერგვის დაჩქარება;

- ✓ ალტერნატიული ენერგიების ათვისების დაჩქარება (გეოთერმული, მზის, ქარის, ბიომასის) შესაბამისი კვლევების ხელშეწყობის, გამოცდილების გაზიარების, ტექნოლოგიური გადაიარაღების ხელშეწყობითა და შესაბამისი სარეგულაციო ბაზის შემუშავებით; ნაგავსაყრელის გაზის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა; ტრანსპორტის სფეროს რეგულირება: საწვავის მაღალ (ევროპულ) ნორმებზე თანდათანობითი გადასვლა;
- ✓ სატრანსპორტო პარკის განახლება; მეორეული მანქანების იმპორტის რეგულირება; მანქანათა პარკის ტექნიკური მდგომარეობის რეგულირება; საქალაქო ტრანსპორტის სქემების სრულყოფა. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ქ. თბილისის მერიის ჩართვა „მერების შეთანხმების“ პროექტში, რომელიც ქალაქის ეკოლოგიურ (სათბურის გაზების თვალსაზრისით) გაჯანსაღებას ისახავს მიზნად, რაც ტრანსპორტის, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ემიტორი სექტორის, პრობლემების მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. ამჟამად რეალურია საქართველოს სხვა ქალაქების ამ პროექტში ჩართვის პერსპექტივა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტრანსპორტის „ენერგეტიკულ-კლიმატური“ პრობლემის გადაწყვეტას.



მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის

მოიცავს:

- ✓ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სტაბილურობის მიზნით საჯარო სექტორის ფინანსების მენეჯმენტისა და ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას;
- ✓ ბიზნესინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებას, ახალი ბიზნესსერვისებისა და პროდუქტების შექმნას;
- ✓ შრომის კოდექსსა და შესაბამის რეგულაციებში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას ყველა დასაქმებულისთვის, მათ შორის ემიგრანტებისთვის.

მიზნის აქტუალობა:

ეკონომიკური აქტიურობის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო პირობის შექმნა. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სტაბილურობის მიზნით საჯარო სექტორის ფინანსების მენეჯმენტისა და ფინანსური

ინსტიტუტების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ბიზნესინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის წახალისება, ახალი ბიზნესსერვისებისა და პროდუქტების შექმნა.

შრომის კოდექსსა და შესაბამის რეგულაციებში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო და დაცული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა ყველა დასაქმებულისთვის, მათ შორის – ემიგრანტებისთვის.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ძველებურად დღეში 2 აშშ დოლარის ეკვივალენტ თანხაზე ცხოვრობს. ბევრგან სამუშაოს არსებობა არ წარმოადგენს სიღარიბისგან თავის დაღწევის გარანტიას. ასეთი ნელი და არათანაბარი სვლა მიზნისკენ გვაიძულებს გადავხედოთ და გადავაიარაღოთ სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კომპონენტია შრომის პროდუქტიულობის ამაღლება, უმუშევრობის დონის შემცირება, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის და ფინანსური მომსახურებისა და შეღავათების გამოყენების გაფართოება.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს. სწრაფი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების და სიღარიბის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავე დროს, ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისის უზრუნველყოფით, სო-

ციალური სამართლიანობით და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებზე ხელმისაწვდომობას.

მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საზოგადოებას მოუწევს შექმნას ისეთი პირობები, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ხარისხიანი სამუშაო, ხდებოდეს ეკონომიკის განვითარების სტიმულირება გარემოზე მავნე ზემოქმედების გარეშე. ამისათვის ასევე აუცილებელია შეიქმნას დასაქმების შესაძლებლობები და მუშაობის ღირსეული პირობები ყველა შრომიუნარიანი ასაკის ადამიანისთვის.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. ამასთან, აუცილებელია ადამიანური რესურსების განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება. უმუშევრობის დღევანდელი მაჩვენებელი ასახავს ადამიანური რესურსების განვითარების აუცილებლობას. პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების შესაძლებლობების ამაღლებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების და შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირების (შშმპ და სხვა) შესაძლებლობების განვითარებაზე. ამავე დროს, გრძელვადიან პერიოდში კვალიფიციური აკადემიური და ტექნიკური სამუშაო ძალის მისაღებად აუცილებელია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხიანი განათლების სისტემებზე ხელმისაწვდომობა.

შრომის ბაზრის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსის აღმოფხვრა

ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფის გზით. პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის თანმიმდევრული შემცირება იქნება.



უმუშევრობის გეოგრაფია მსოფლიოს ქვეყნებს შორის, %, 2020 წელი

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში.

შრომის ბაზრის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებული არა მარტო სამუშაო ადგი-

ლით იყოს უზრუნველყოფილი, არამედ, ამავდროულად, მისი, როგორც დასაქმებულის, უფლებები იყოს მკაცრად დაცული და საქმიანობის შედეგად შრომის შესაბამისი ანაზღაურება მიიღოს, რაც მას ცხოვრების ნორმალური პირობებით უზრუნველყოფს.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ უმუშევართა რაოდენობა მსოფლიოში 2007 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში 170 მლნ-დან 202 მლნ-მდე გაიზარდა, ამასთან, აქედან 75 მლნ ადამიანი ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები არიან;
- ✓ დაახლოებით, 2.2. მლნ ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, რომელთა შემოსავალი 2 აშშ დოლარია დღეში. ასეთი სიღატაკის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური და კარგად ანაზღაურებადი სამუშაოს საშუალებით;
- ✓ 2016-2030 წლების პერიოდში მსოფლიო დასაქმებულობის ბაზრის ახალი მოთამაშეებისათვის საჭირო გახდება 470 მლნ სამუშაო ადგილი.

საქართველო

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფაა მთავრობის ოპტიმალური, ეფექტიანი და გამჭვირვალე საქმიანობის პირობებში. ეს გუ-

ლისხმობს იმგვარი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, როდესაც კერძო სექტორი თავად იღებს გადაწყვეტილებებს, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად კერძო სექტორი გვევლინება. თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები შერწყმული იქნება სახელმწიფო რეგულაციების ოპტიმალურ მოდელთან. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით.

საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 2007 წელს დაფიქსირებული 13,3% – დან 2009 წელს 16,9%-მდე გაიზარდა; 2012 წლისთვის კი 15,0%-მდე. იმავე პერიოდში (2007-2012) ახალგაზრდების უმუშევრობა (15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 27,7%-დან 36,9%-მდე გაიზარდა. საქართველოში ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების დიდ ნაწილში. ქალაქის ტიპის დასახლებებში უმუშევრობა 28%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სამუშაო ძალას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

უმუშევრობის შემცირება და ღირსეული შრომის პირობებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა

მოიცავს:

- ✓ ინდუსტრიისა და ინოვაციების განვითარებას და ინ-ფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;
- ✓ ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ინტერნეტზე წვდომას საზოგადოებების დასაკავში-რებლად და ინფორმაციისა და სერვისების ხელმი-საწვდომობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინო-ვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას;
- ✓ სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელ-შესაწყობად ღია მონაცემთა მომხმარებლების მხა-რდაჭერასა და მათი პრაქტიული ჩართულობის უზ-რუნველყოფას;
- ✓ ინვესტიციას ინფრასტრუქტურაში – ტრანსპორტი, საირიგაციო სისტემები, ენერგომომარაგება, ინფო-რმაციული და საკომუკაციო ტექნოლოგიები – აუცი-ლებელია მდგრადი განვითარების მისაღწევად და ბევრ ქყვეყანაში თემის უფლებებისა და შესაძლებ-ლობების გასაფართოვებლად.

მიზნის აქტუალობა:

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ წარმოებისა და შემოსავლების ასამაღლებლად, ასევე სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შედეგების გასაუმჯობესებლად აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარება.

დღევანდელ მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე და ურბანიზაციის სწრაფი ტემპებით ზრდის პირობებში, აუცილებელია დამატებითი ინვესტიციები მდგრადი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რომელთა წყალობით ქალაქები უფრო მეტად ეფექტურად შეძლებენ „წინააღმდეგობა გაუწიონ“ კლიმატის ცვლილებას და რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალური სტაბილურობის მიღწევას.

მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის – სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის სახელმწიფოთა მთავრობამ ყველა ადამიანს თანაბარი შესაძლებლობა უნდა შეუქმნას და ამ პროცესში მმართველობის გამჭვირვალობა უზრუნველყოს.

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებით/წარდგენით, ასევე, ადმინისტრირების გაუმჯობესებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რეფორმების ეფექტიანი განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს

შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.



მსოფლიოს ქვეყნები ინოვაციების ინდექსის მიხედვით, 2019 წელი

რუკის ლეგენდა:

– 1-ზე მეტი
– 0-დან 0.99-მდე
– 0-დან -0.99-მდე
– 1-ზე ნაკლები
– მონაცემები არაა

საგადასახადო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემისა და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ ბევრ განვითარებად ქვეყანაში ისევ შეინიშნება საბაზო ინფრასტრუქტურის – გზების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სანიტარიის, ელექტროენერგეტიკის და წყალმომარაგების – უკმარისობა.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში 2.6 მლრდ ადამიანს არა აქვს უწყვეტი ელექტროენერგია.
- ✓ მთელ მსოფლიოში 2.5 მლრდ ადამიანს არა აქვს წვდომა სანიტარულ სერვისთან და, დაახლოებით, 800 მლნ ადამიანს – წყალმომარაგებასთან. მათი უმეტესობა აფრიკისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში ცხოვრობს.

საქართველო

საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე, რაც ამავე დროს განაპირობებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ინოვაციის გლობალურ ინდექსში (GII 2013) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012

წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) 131 ქვეყანას შორის 44-ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013 – 2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს; ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი – 118-ე ადგილი;

კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) – 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

- ✓ უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-100 ადგილი;
- ✓ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ – 117-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

მოიცავს:

- ✓ ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ რეგულაციებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობს ინვესტიციას, ამცირებს კორუფციას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მასშტაბური ეკონომიკური საქმიანობისთვის;
- ✓ სამთავრობო გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა როლის გაზრდას – განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების, რაც ამცირებს ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილ უთანასწორობებს და ხელს უწყობს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას;
- ✓ გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარების პოლიტიკის წახალისებას, რომელიც ხელს უწყობს სწორედ იმ ქვეყნებისა და ჯგუფების დახმარებას, რომელთაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

მიზნის აქტუალობა:

ეკონომიკური ანუ შემოსავლის უთანასწორობის ზრდა, რასაკვირველია, არც ახალი და არც მხოლოდ

ერთი რომელიმე ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფენომენია. ეს საბაზრო ეკონომიკებისთვის ჩვეული ტენდენციაა. ერთი მოსაზრების მიხედვით, უთანასწორობა თავისუფალი ბაზრის სისტემის თვისებაა და ადამიანის მიერ მიღებული ანაზღაურება მისი შესაძლებლობების, მის მიერ გაწეული რისკისა და შრომის ადეკვატურია. მარტივად თუ ვიტყვით, რაც უფრო მეტს მუშაობს ადამიანი, მით მეტი ანაზღაურება აქვს, შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ყველა ადამიანი თანასწორი ვერ იქნება ეკონომიკურად. სრული თანასწორობა, ცხადია, კლავს მოტივაციას.

თუმცა, მეორემხრივ, ამ სისტემის ხარვეზად მიიჩნევენ იმას, რომ ზოგ ადამიანს, ვინც წარმატებას აღწევს, დიდი თანხა აქვს, ხოლო სხვებს, რომლებიც წარუმატებლები არიან, პირველადი მოხმარების პროდუქტის ყიდვაც არ შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში გვყავს საზოგადოება, რომელიც ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის ექსპლუატაციას, ანდა რესურსების არათანაბარ ხელმისაწვდომობას ემყარება.

საერთაშორისო საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა სიღარიბის შესამცირებლად. განვითარებადი და კუნძულოვანი ქვეყნები, ასევე სახელმწიფოები, რომელთაც არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი, დღესაც ებრძვიან სიღარიბეს და სხვადასხვა ზომას იღებენ სიღარიბის შესამცირებლად. მაგრამ უთანასწორობის პრობლემა ჯერაც არსებობს და აქტუალურია: შეინიშნება დიდი განსხვავება როგორც ხელმისაწვდომი სამიდიცინო და საგანმანათლებლო მომსახურეობის დონეებს შორის, ასევე სხვადასხვა საწარმოო აქტივს შორის.



Color	Gini coefficient				
	< 0,25		0,35 - 0,39		0,55 - 0,59
	0,25 - 0,29		0,40 - 0,44		> 0,60
	0,30 - 0,34		0,45 - 0,49		NA
			0,50 - 0,54		

შემოსავლების უთანასწორობა მსოფლიოს ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, 2020 წელი

კვლევების თანახმად, უთანასწორობის მაღალმა დონემ, შეიძლება, სოციალური ერთობისა და სამოქალაქო ჩართულობის შემცირება გამოიწვიოს, რაც დროთა განმავლობაში პოლიტიკურ არასტაბილურობაში გადაიზრდება. უამრავმა კვლევამ დაასტურა პირდაპირი კავშირი უთანასწორობის დონესა და სოციალური ერთობის ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს შორის, როგორებიც არის დანაშაული (განსაკუთრებით, მკვლელობები), ფსიქიკური აშლილობა და არასრულწლოვანთა ფეხმძიმობა, როგორც ერთი ქვეყნის, ასევე ქვეყნების მასშტაბით. სერიოზული უთანასწორობა ზღუდავს მთავრობის შესაძლებლობასაც, გამოიყენოს მნიშვნელოვანი საბაზრო მექანიზმები, როგორიც არის საჯარო მომსახურების ფასების ან ჯარიმების ცვლილება: ამან უთანასწორობა შეიძლება კიდევ უფრო გააღრმაოს, რა-

დგან ღარიბი მოსახლეობის მეტ გაღარიბებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ბოლოდროინდელმა კვლევამ, რომელმაც მსოფლიოს 35 დემოკრატიული ქვეყანა მოიცვა, ძლიერი კავშირი დაადგინა უთანასწორობის დონეებსა და ტოლერანტობას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების შემოსავლებს შორის განსხვავება მეტ-ნაკლებად შემცირდა, უთანასწორობის პრობლემა გაღრმავდა ქვეყნის შიგნით. შესაბამისად, კიდევ უფრო მყარდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს სიღარიბის შემცირებას, თუ ის არაა საყოველთაო პროცესი და მდგრადი განვითარების სამივე ნაწილს – ეკონომიკურს, სოციალურსა და ეკოლოგიურს – არ ეფუძნება.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ 1990-2010 წლებში უთანასწორობა განვითარებადი ქვეყნების შემოსავლების დონეებს შორის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით საშუალოდ 11%-ით გაიზარდა.
- ✓ უთანასწორობასთან ბრძოლა შეუძლებელია იყოს ეფექტური, თუ არ იქნება გათვალისწინებული მუდმივი კავშირი უთანასწორობის შედეგებსა და უთანასწორობის შესაძლებლობებს შორის.
- ✓ ექსპერტთა აზრით, ბევრ ქვეყანაში ჯერაც მაღალია უთანასორობის დონე და შორეულ პერსპექტივაში ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ამოცანები:

სახელმწიფოთა მეთაურები და მთავრობები მთელ მსოფლიოში მზარდი უთანასწორობის შესამცირებლად სხვადასხვა ინიციატივით გამოდიან. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღარიბი ოჯახების ბავშვებისთვის მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული ხარისხიანი განათლების მიღება. შედეგად, მათ ნაკლებშემოსავლიანი დასაქმების შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ბავშვებს მდიდარი ოჯახებიდან. ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი სწავლების საფასურია; ეს სამიზნეს წარმოადგენს პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის, რომლებიც მზარდი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის წყაროს აღმოფხვრას ისახავენ მიზნად.

სხვა ეკონომიკური სტრატეგია, რომლის გამოყენებაც შეიძლება უთანასწორობის შესამცირებლად, პროგრესული დაბეგვრაა – ღარიბებთან შედარებით, მდიდრების პროპორციულად მეტად დაბეგვრა, რათა საზოგადოებაში არსებული შემოსავლის უთანასწორობა შემცირდეს და მინიმალური ხელფასი დაწესდეს ყველაზე ღარიბი მშრომელების შემოსავლის გასაზრდელად.

თუმცა, ცხადია, ამ ზომებსაც აქვს თავისი უკუშედეგები, მათ შორის, ისინი შესაძლოა, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შემაფერხებელიც კი გახდეს.

სწორედ ამიტომ, რა პოლიტიკური ვარიანტების კომბინაციაც არ უნდა აირჩიოს მთავრობამ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მიზეზთან ბრძოლა ყოველთვის უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვადასხვა სუბსიდიის გზით შედეგების შემსუბუქება.

უთანასწორობის შესამცირებლად რეკომენდებულია ისეთი პოლიტიკა, რომელიც აგებულია საყოველთაობის პრინციპზე, მაგრამ ითვალისწინებს მოსახლეობის უსახლკარო და სხვა მარგინალურ ჯგუფებს.

ამრიგად, მთავარი პოლიტიკის განსაზღვრაა და ასევე, ინსტიტუტების ამოქმედება, რათა კონკურენტული გარემოს შენარჩუნების გზით მოიძებნოს ბალანსი შემოსავლის თანაბრად განაწილების საჭიროებასა და ეკონომიკის სტიმულირების საჭიროებას შორის.

საქართველო

ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის აქტუალური იყო და აქტუალურად რჩება დღესაც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეკონომიკური უთანასწორობის გასაზომად რამდენიმე ინდიკატორს იყენებს: პირველია მედიანური მოხმარების, ანუ ქვეყანაში ერთი ადამიანის საშუალო ყოველთვიური მოხმარების, 60 და 40 პროცენტზე ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი; ასევე კრიტერიუმებია სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა და ჯინის კოეფიციენტი, რომლის მიხედვითაც უთანასწორობა 0-დან 1-მდე იზომება და ხშირად, პროცენტის სახით, 0-დან 100 პროცენტამდე გამოიხატება. ყველაზე უთანასწოროა საზოგადოება, სადაც კოეფიციენტი ერთის ტოლია და ყველაზე თანასწორი კი – სადაც 0-ის ტოლი. რეალურად, ინდიკატორი ყოველთვის 0-სა და 1-ს შორისაა, ვინაიდან სრული თა-

ნასწორობა/უთანასწორობა ჰიპოთეტური მოცემულობებია.

საქართველოში ეკონომიკური უთანასწორობა ყველაზე მეტად ბავშვებსა და მოხუცებზე აისახება

ზოგადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომელთა თავდაპირველი უთანასწორობის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო, ცხადია, შემოსავლის თანასწორობის დაღმავალი ტენდენცია შეინიშნება. დამახასიათებელია მცირერიცხოვანი საშუალო კლასი, მაღალი უმუშევრობა. ამჟამად საქართველოს ჯინის კოეფიციენტი 40 პროცენტს უდრის. სურათის უკეთ დასანახად, ეს მონაცემი სხვა ქვეყნებისას შევადაროთ: სკანდინავიის ქვეყნებში ეს ინდიკატორი 25-ია, აფრიკის კონტინენტს შედარებით მაღალი ინდიკატორი აქვს (დაახლოებით, 70). თვით რეგიონშიც კი, რომელშიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინდიკატორები შედარებით მა-

ღალია, საქართველოს კოეფიციენტი მაინც ზოგიერთი მისი მეზობლისას აჭარბებს: მაგალითად, სომხეთის ჯინის კოეფიციენტი 30.2-ს შეადგენს. ამავე დროს, საქართველოს ჯინის კოეფიციენტი რუსეთის (43.7) და თურქეთის (41.2) კოეფიციენტებზე ნაკლებია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური უთანასწორობის ახალი – 2013 წლის – მაჩვენებლები გამოაქვეყნა. ციფრები მოწმობს, რომ საქართველოში კვლავ მაღალია სხვაობა მოსახლეობის შემოსავლებს შორის. კერძოდ: სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რიცხვმა 437,238 შეადგინა და მოსახლეობის 9,7 პროცენტს გაუტოლდა. შესაბამისად, 2012 წელთან შედარებით, არაფერი შეცვლილა. 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, მცირედით არის გაუმჯობესებული ე.წ. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის საზომი ერთ-ერთი კრიტერიუმია.

მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

მოიცავს:

- ✓ ურბანულ ეკოლოგიასა და ველური ბუნების ადაპტაციას თანამედროვე დასახლებებთან;
- ✓ მდგრად შენობა-ნაგებობებსა და სივრცით განვითარებას;
- ✓ ნარჩენების მართვას;
- ✓ წყლის ციკლს (მწვანე სახურავი, წვიმის წყლის შეგროვება, ძველი არხების/კალაპოტების განახლება, მდგრადი ურბანული სადრენაჟო სისტემები;
- ✓ ქალაქების ინტელექტუალური საქმიანობის, სავაჭრო, კულტურულ, მეცნიერულ, სამრეწველო, სოციალური და სხვ. ფუნქციების განვითარებას;
- ✓ „ქალაქური პრობლემების“, მაგალითად, გადაჭარბებული მოსახლეობა, მომსახურების დეფიციტი, ადეკვატური საცხოვრებლის უკმარისობა, ინფრასტრუქტურის დეგრადაცია და სხვ. მოგვარება.

მიზნის აქტუალობა:

ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება ქალაქების ისეთი

მოდელის შექმნას გულისხმობს, რომელიც ახლანდელი თაობის ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, მაგრამ ამის შედეგად არ მოხდება მომავალი თაობების მოთხოვნილებების იგნორირება. მდგრადობა ქალაქგანვითარებაში ასევე აღნიშნავს მიდგომას, რომლის უმთავრესი ამოსავალი წერტილი ადამიანია და თითოეული მოქალაქისა და სტუმრისთვის თანაბრად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს, ღირსეული საცხოვრისის და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამ კონტექსტში უნდა მოხდეს „ინკლუზიური ქალაქის“ კონცეფციის შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მიიღოს მონაწილეობა ქალაქის დაგეგმარებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. წინა პლანზე გამოდის „მწვანე ქალაქის“, „კრეატიული ქალაქისა“ და „გონიერი ქალაქის“ იდეები, რაც ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებული და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ დღეს კაცობრიობის თითქმის ნახევარი – 3,5 მლრდ ადამიანი ქალაქებში ცხოვრობს.

- ✓ 2030 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 60% საქალაქო რაიონებში იცხოვრებს;
- ✓ უახლოეს ათწლეულში ქალაქების ზრდა თითქმის 95%-ით განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე მოხდება;
- ✓ დღეს ბიდონვილებში (ჯურღმულებში), დაახლოებით, 828 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება;
- ✓ მსოფლიოს ქალაქების საერთო ფართობი დედამიწის ხმელეთის მხოლოდ 3%-ს შეადგენს, თუმცა ისინი მთელი გამომუშავებული ენერგიის 60-80%-ს მოიხმარენ;
- ✓ 1990 წელს იყო 10 „მეგა-ქალაქი“ თითოეულში 10 მილიონი ან მეტი მოსახლით, მაშინ როცა 2014 წელს 28 მეგა-ქალაქში 453 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა;
- ✓ ურბანიზაციის სწრაფი ტემპი ნეგატიურ გავლენას ახდენს მტკნარი წყლის მარაგზე, საკანალიზაციო სისტემების მუშაობაზე, საცხოვრებელ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მდგრადი ქალაქი

მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება

მოიცავს:

- ✓ წარმოება-მოხმარების ისტორიას, აღდგენად და არააღდგენად ბუნებრივ რესურსებს;
- ✓ ენერგიის წარმოებასა და მოხმარებას);
- ✓ საკვების წარმოება-მოხმარებას;
- ✓ ნარჩენების გენერაციასა და მართვას (პრევენცია, შემცირება, გადამუშავება, ხელახალი გამოყენება);
- ✓ მდგრადი ცხოვრების სტილის, მდგრადი წარმოება-მოხმარების მრავალფეროვანი პრაქტიკის დანერგვას;
- ✓ მდგრადი პროდუქციის ნიშანს, აღრიცხვასა და სერტიფიცირებას (მაგ., სამართლიანი ვაჭრობა – fair trade);
- ✓ მწვანე ეკონომიკას, ცირკულარულ ეკონომიკას, მწვანე ზრდას.

მიზნის აქტუალობა:

მდგრადი მოხმარება და წარმოება რესურსებისა და ენერგიის ეფექტიან გამოყენებას, მდგრადი

ინფრასტრუქტურების და „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნას, ცხოვრების დონის შედარებით მაღალი ხარისხის მიღწევას და სხვ. ასტიმულირებს. ამ პროგრამის რეალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას, ამაღლებს მათ ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ამცირებს სიღარიბის დონეს.

დედამიწის მოსახლეობის ზრდასა და მათი ასევე მზარდი მოთხოვნილებების პარალელურად გამუდმებით იზრდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოების, ასევე მათი მოხმარების რაოდენობა. შედეგად ჩვენს პლანეტაზე წარმოიქმნა ნარჩენების უზარმაზარი რაოდენობა, რამაც მრავალ ქვეყანაში „ნარჩენების კრიზისი” გამოიწვია. დღეს მსოფლიოში ერთი ქვეყანაც კი არ არსებობს, ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ ჰქონდეს. ზოგიერთი მათგანი ყველა ქვეყნისათვის საერთოა, ზოგი კი – განსაკუთრებული და მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უკვე მრავალი წელია ცდილობენ ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტას და ნარჩენების მართვის სფეროში მუდმივად ახალ ტექნოლოგიებს გვთავაზობენ.

ნარჩენების მართვა მოიცავს ნარჩენების შეგროვების, რეციკლირების (გადამუშავების, დაწვის, დამარხვის...), ასევე მათი რაოდენობის შემცირების ღონისძიებებს. ნარჩენების სწორი მართვა საკმაოდ რთული პროცესია და მთავრობისა და მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართვას მოითხოვს.

მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემო რისკებს

და ეკოლოგიურ დანაკარგებს (გაერთიანებული ერების გარემოს პროგრამა, 2010 წელი). მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ის მოდელია, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზეა დაფუძნებული. ის ეკონომიკის სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება აქვს. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას, რესურსების გამოლევის საშიშროებას. ის სტიმულს აძლევს ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორებს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. პირიქით, ცდილობს, იპოვოს ეკონომიკური გადაწყვეტილების დადებითი და შედეგიანი ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორია არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

მწვანე ეკონომიკას თავისი პრინციპები გააჩნია და ექვს მთავარ სექტორს მოიცავს.

მწვანე ეკონომიკის პრინციპები:

- სამართლიანობა და ობიექტურობა, როგორც ერთი თაობის ფარგლებში, ისე თაობათა შორის;
- მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანხვედრა;
- პრევენციული მიდგომა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება, მაგ., საგარეო ხარჯების ინტერნაციონალიზაცია;
- რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება;
- „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ზრდა

მწვანე ეკონომიკის სექტორები:

ფაქტები და ციფრები:

- ✓ მსოფლიოში დოვლათის გადანაწილება უთანაბროა. მოსახლეობის უმეტესობა მოიხმარს საჭიროზე ნაკლებს;
- ✓ გაეროს ცნობით, ყოველ წელს, წარმოებული სურსათის თითქმის ერთი მესამედი, რაც 1,3 მილიარდ ტონას და 1 ტრილიონ დოლარს შეადგენს, ლპება

მომხმარებლების თუ საცალო მოვაჭრეების სანაგვე ყუთებში, ან ფუჭდება ტრანსპორტირების თუ მოსავლის აღების არასათანადო პირობების გამო;

- ✓ 2030 წლისთვის გლობალურმა საზოგადოებამ უნდა გაანახევროს ნარჩენებად ქცეული და დაკარგული სურსათის ოდენობა.

ამოცანები:

2030 წლისთვის გლობალურმა საზოგადოებამ უნდა გაანახევროს ნარჩენებად ქცეული და დაკარგული სურსათის ოდენობა.

მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

მოიცავს:

- ✓ ჩვენს ატმოსფეროს;
- ✓ სასათბურე გაზების გამოყოფის საერთო ემისიას;
- ✓ ბუნებრივი კატასტროფების რიცხვის ზრდას.

მიზნის აქტუალობა:

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა. მისი ფენომენი შემჩნეული იქნა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დაფიქსირდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდისა და გახშირებული კლიმატური კატასტროფების ტენდენცია. თანამედროვე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. დღეისთვის უკვე დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ნამდვილად ხდება სათბურის გაზების მაღალი და მზარდი კონცენტრაციის გამო. ეს გაზები კი ადამიანის სამეწარმეო საქმიანობის დროს გამოიყოფა და დედამიწის გარშემო „ღრუბელს“ ქმნიან, რაც, თავის მხრივ, იწვევს საშუალო ტემპერატუ-

რის აწევას, ნალექების გახშირებას და სხვა შედეგებს, რაც უარყოფითად აისახება მოვლენების განვითარებაში. კლიმატის ცვლილებების მავნე შედეგები მოიცავს მყინვარების დნობას მთებზე და ყინულის ფენების ოკეანეებში განლევას, „სითბურ ტალღებს“, გვალვებს, ძლიერ წვიმებს, ცუნამებს, ქარიშხლების

გაძლიერებას და თავისთავად, ეს და მსგავსი მოვლენები ცვლის ბუნებას, ეკოსისტემებს, რომელთა უმეტესობა ვერ ახერხებს ახალ გარემო პირობებთან ადაპტაციას და გადაგვარდება ხოლმე. ასევე, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი, მათ შორის – ეპიდემიების გავრცელება.

„სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა იზრდება ყოველწლიურად, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და სასწრაფოს ხდის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას.

მსოფლიოს ასობით მილიარდ აშშ დოლარად უჯდება კლიმატის ცვლილების შედეგად გახშირებული ბუნებრივი კატასტროფები, მაგალითად, მიწისძვრები, ცუნამი, ტროპიკული ციკლონები და წყალდიდობა. ამავდროულად, კატასტროფათა პრევენციისა და მათი შედეგების შერბილებისათვის საკმარისია ყოველწლიურად მხოლოდ 6 მილიარდი აშშ დოლარის დახარჯვა.

უცილებელია კლიმატის ცვლილებებისა და მისი უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად გატარდეს გადაუდებელი ზომები. იმისთვის, რომ აღნიშნული პრობლემა გადაიჭრას გლობალურ დონეზე, საჭიროა კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული ზომები ინტეგრირდეს ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიებსა და გეგმებში. გარდა ამისა, აუცილებელია ადამიანები უკეთ იყვნენ მომზადებულნი, რომ გაუმკლავდნენ

კლიმატის ცვლილებებითა და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულ ზიანს.

კლიმატის ცვლილების გლობალური ხასიათის მიუხედავად, მისი მრავალრიცხოვანი გამოვლინებების ინტენსივობას და მისი ზემოქმედების მასშტაბებს ახასიათებს ლოკალური სპეციფიკა სხვადასხვა რეგიონების და ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფიზიკური მახასიათებლების შესაბამისად. ასე, მაგალითად, აფრიკის კონტინენტზე ყველაზე ინტენსიურად გამოხატულია წყლის რესურსების შემცირება და მიწის დეგრადაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – ცუნამები და შტორმები, მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოებისთვის – ოკეანის დონის აწევა, რაც მათ გაქრობით ემუქრება.



მსოფლიოს ქვეყნები კლიმატის ცვლილებისგან მიყენებული ზიანის მიხედვით, 2020 წელი

ფაქტები და ციფრები:

- ✓ 1880-2012 წლებში გლობალური ტემპერატურა 0.85°C-ით გაიზარდა;
- ✓ ტემპერატურის 1 გრადუსით მატება მარცვლეული კულტურების მოსავლის 5%-ით შემცირებას იწვევს;
- ✓ 1981-2002 წლებში სიმინდის, ხორბლისა და სხვა კულტურების მსოფლიო წარმოება საკმაოდ შემცირდა – 40 მეგატონით წელიწადში;
- ✓ ყოველ წელს მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების შედეგად 6.5 მილიონი ადამიანი კვდება. მათ უმეტესობას სიმსივნე და გულის სხვადასხვა დაავადება უვითარდება;
- ✓ 1979 წლიდან მოყოლებული, ყოველ ათ წელიწადში არქტიკული ზღვების ყინულების ფართობი 1.07 მლნ კვ. კმ-ით მცირდება;
- ✓ სავარაუდოდ, მსოფლიო ოკეანის წყლის ტემპერატურა კვლავ მოიმატებს და ყინულები გააგრძელებენ დნობას. პროგნოზის მიხედვით, 2065 წლისთვის მსოფლიო ოკეანის დონე 24-30 სმ-ით აიწევს, ხოლო 2100 წლისათვის – 40-63 სმ-ით;
- ✓ 1990 წლიდან მსოფლიოში ნახშირორჟანგმა (CO2) თითქმის 5-0%-ით მოიმატა;
- ✓ სამწუხაროდ, გლობალური დათბობის შედეგები კვლავ დიდხანს განაგრძობს ზიანის მოყენებას მას შემდეგაც კი, როცა (თუ მოხერხდება მისი შეჩერება, რისთვისაც უდიდესი ძალისხმევა იხარჯება მთელი მსოფლიოს მიერ) არსებული მდგომარეობისა და მისი პერსპექტივაში განვითარების გაუთვალისწინებლობას შეუძლია მრავალი უსიამოვნო სიურპრიზის მოწყობა.

ამოცანები:

2030 წლისთვის, კლიმატის ცვლილების საფრთხის შემცირების მიზნით, მსოფლიომ უნდა მოახდინოს კლიმატის ცვლილების ზეგავლენის საწინააღმდეგო ზომების ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და გეგმებში.



მსოფლიოს ქვეყნები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და ვალდებულებების მიხედვით

წყარო: https://www.theguardian.com/environment/graphic/2011/jul/15/smith-school-action-climate-change

კაცობრიობის გლობალური ძალისხმევა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ხორციელდება კლიმატის ცვლილების კონვენციის ფარგლებში და მოიცავს მუშაობას ორი მიმართულებით: სათბურის გაზების შემცირების (ე.წ. „მითიგაცია“ ანუ კლიმატის ცვლილების შერბილება) და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის, ანუ გარდაუვალი ცვლილებებისადმი გამძლეობის გაზრდის მიმართულებით. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს

ასრულებენ კონვენციის პირველ დანართში შესული განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ამცირებენ თავიანთი ემისიებს კონვენციის კიოტოს პროტოკოლით აღებული რაოდენობრივი ვალდებულებების შესაბამისად და ასევე ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედების შერბილებასა და მისადმი ადაპტაციაში.

კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას აქვს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ხასიათი, გამომდინარე დათბობის პროცესის გლობალურობიდან და მისი შედეგების კონკრეტული გამოვლინებების ლოკალური სპეციფიკურობიდან. შეიძლება ითქვას, რომ სათბურის გაზების შემცირებას (მითიგაციას) უფრო გლობალური მნიშვნელობა აქვს, ხოლო ადაპტაციას – უფრო ლოკალური. კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა ორივე ამ მიმართულებით, – მის შესაჩერებლად (მითიგაცია) და მისი შედეგების შესარბილებლად (ადაპტაცია), – არა მარტო კონვენციის მოთხოვნაა მისი წევრი სახელმწიფოებისათვის, არამედ, უბრალოდ, რეალობით განპირობებული აუცილებლობაც. თუმცა გამომდინარე ქვეყნების ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა თავისებურებებიდან, მათი ინდივიდუალური ძალისხმევა შეიძლება იყოს სპეციფიური, მაგალითად, მითიგაცია-ადაპტაციას შორის აქცენტირების თვალსაზრისით, რამდენადაც მითიგაცია უფრო აქტუალურია დიდი ემიტორი ქვეყნებისათვის, მცირე ქვეყნებში კი უფრო აქტუალური ადაპტაციაა.

საქართველო

ზოგადად, საქართველო წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციის 1-ელ დანართში არშესულ ქვეყანას, რაც მას აყენებს გარკვეულწილად „შეღავათიან“ პირობებში კონვენციის მოთხოვნების შესრულებისას: ქვეყანას არა აქვს სათბურის გაზების ემისიის შემცირების რაოდენობრივი ვალდებულებები და კონვენციისადმი ანგარიშგების (ეროვნული შეტყობინებები, სათბურის გაზების ემისიის ეროვნული კადასტრები) მკაცრი პერიოდულობის და მათი ფინანსური უზრუნველყოფის ვალდებულებები.

საქართველო ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ერთად იმყოფება განსაკუთრებით „მომგებიან“ მდგომარეობაში სათბურის ეროვნული გაზების ემისიის რაოდენობის თვალსაზრისით: ჯერ ერთი, საქართველოს წილი მსოფლიო ემისიებში მიზერულია; მეორეც, გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგად შექმნილი ეკონომიკური კოლაფსის შემდეგ მკვეთრად დაცემული დონე სათბურის გაზების ემისიებისა ტოვებს „მარაგს“ საბაზისო 1990 წლის დონემდე, ანუ ქვეყანას აქვს „უფლება“ – ჯერჯერობით არ შეზღუდოს თავისი ემისიების ზრდა. თუმცა, მიუხედავად ასეთი ერთი შეხედვით „კომფორტული“ ვითარებისა, საქართველოში მაინც მთელი სიმწვავით დგას ეროვნული განვითარების გეგმებში კლიმატის ცვლილების „განზომილების“ გათვალისწინების აუცილებლობა. პირველ რიგში, ეს ეხება ამ მოვლენის მავნე შედეგების გამოვლინებების მზარდ ინტენსიფიკაციას ქვეყანაში ექსტრემალური მოვლენების, მიწის დეგრადაციის, სეზონური ცვლილებების, ნა-

ლექიანობის რეჟიმის შეცვლის, ექსტრემალური ტემპერატურების ზრდის, ზღვის დონის აწევის და მრავალი სხვა მოვლენების სახით, რაც ქმნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობას.

მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის

მოიცავს:

- ✓ ჩვენს ჰიდროსფეროს: წყლის ციკლი და წყალი, როგორც ჰავის მაფორმირებელი;
- ✓ ზღვის ეკოლოგიას: კვებითი ჯაჭვი, კონკურენცია;
- ✓ ოკეანის დამაბინძურებლებს: პლასტმასი, მიკროგრანულები, ჩამონადენი, საკანალიზაციო წყლები, ქიმიკატები და სასუქები;
- ✓ ღრმა წყლის ორგანიზმებს.

მიზნის აქტუალობა:

მსოფლიო ოკეანე, მისი წყლის ტემპერატურა, ქიმიური პროცესები, დინებები და ცხოვრება – იმ გლობალური სისტემების მოქმედებას განსაზღვრავს, რომლებიც დედამიწას კაცობრიობის არსებობისათვის გამოყენებადად აქცევენ.

წვიმისა და სასმელი წაყალი, ამინდი, კლიმატი, საანაპირო ხაზი, ჩვენი საკვების დიდი ნაწილი და თვით ჟანგბადიც კი, საბოლოოდ ოკენეების მიერ მოგვეწოდება და რეგულირდება. კაცობრიობის ისტორის განმავლობაში ზღვები და ოკეანეები სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვან სავაჭრო და სატრანსპორტო გზებს წარმოადგენენ.

ოკეანე გავლენას ახდენს ატმოსფეროს მდგომარეობაზე და წარმოადგენს საკვებისა და სასარგებლო წიაღისეულის წყაროს. ის ყველაზე პროდუქტიული ეკოსისტემაა დედამიწაზე.

რაც უფრო მეტად იზრდება მსოფლიო ოკეანის როლი კაცობრიობის განვითარებაში, მით მეტად იზრდება მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი და მით უფრო მეტად იჩენს თავს სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები. უპირველესი პრობლემა ბიოლოგიური რესურსების ამოწურვაა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში წარმოუდგენელი იყო, რომ მსოფლიო ოკეანე, რომელიც დედამიწის ¼ – ს იკავებს, შეიძლებოდა დაბინძურებულიყო და ბიოლოგიური რესურსები ამოწურულიყო.

ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემა დაბინძურებაა, რაც გულისხმობს პირდაპირ ან არაპირდაპირ ნივთიერებებისა და ენერგიის მოხვედრას წყალში. მსოფლიო ოკეანის დაბინძურების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის მინერალურ რესურსებზე. მათ შორის – ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე, რომელთა მოპოვება უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საოცარი ტემპით გაიზარდა მსოფლიო ოკეანის შელფზე (განსაკუთრებით, არქტიკაში).

ამ უმნიშვნელოვანესი გლობალური რესურსის რაციონალური გამოყენება მომავლის მდგრადი განვითარების საფუძველია.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ ოკეანეებს დედამიწის ზედაპირის ¾ ნაწილი უკავიათ და ჩვენი პლანეტის წყლის რესურსების 97% მათზე მოდის;
- ✓ ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 311 მლნ. ტონა წყალი მოდის;
- ✓ პლანქტონის როლი განუზომელია ატმოსფეროს შემადგენელი აირების დაბალანსებისთვის. იგი აღიარებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანგბადის წყარო. ატმოსფეროში არსებული ჟანგბადის 50–70% ფიტოპლანქტონისაგანაა წარმოქმნილი ფოტოსინთეზის პროცესში;
- ✓ ანთროპოგენური ზემოქმედებით გამოწვეული თანამედროვეობის ყველაზე დიდი პრობლემა ნახშირბადის ციკლის დარღვევაა. ბისფეროში მოხვედრილი CO2 – ის ნახევარი ოკეანის ცოცხალი ორგანიზმების მიერ შეიწოვება;
- ✓ ზღვებისა და სანაპირო რეგიონების ბიომრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული თითქმის 3 მლრდ ადამიანის სიცოცხლე;
- ✓ გლობალური მასშტაბით საზღვაო და სანაპირო რესურსებისა და მრეწველობის დარგების საბაზრო ფასი წელიწადში 3 ტრილიონი აშშ $-ით ფასდება, რაც მსოფლიო მშპ-ს 5%-ს შეადგენს;
- ✓ ოკეანე შთანთქავს ადამიანების საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის 30%-ს, თუმცა წარმოებული ნახშირორჟანგის მოცულობა გაცილებით მეტია; ეს ოკეანეს 26%- ით უზრდის მჟავიანობას, ვიდრე ეს ინდუსტრიამდელ პერიოდში იყო;
- ✓ ოკეანეს ადამიანის მიერ გადაყრილი ნარჩენები აბი-

ნძურებს, 1 კვ.კმ-ზე 13 000 პლასტიკური ბოთლია განფენილი;

- ✓ ოკეანეებში დაახლოებით 200 000 იდენტიფიცირებული სახეობაა, თუმცა რეალურმა რიცხვმა შესაძლოა მილიონებს მიაღწიოს. ოკეანეები ადამიანებისგან წარმოქმნილი ნახშირორჟანგის თითქმის 30%-ს შთანთქავენ და ხელს უწყობენ გლობალური დათბობის შედეგების განეიტრალებას;
- ✓ ზღვების თევზის მარაგი პირადაპირ თუ ირიბად 200 მლნ ადამიანის დასაქმებას უზრუნველყოფს;
- ✓ თევზჭერის სუბსიდირება თევზების ბევრი სახეობის პოპულაციების სწრაფ შემცირებას იწვევს და აფერხებს თევზის რესურსების შენარჩუნებისა და აღდგენის პროცესს, ასევე მასთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების შექმნას, რის შედეგადაც საოკეანო თევზჭერის დარგი ყოველწლიურად ვერ იღებს 50 მლრდ აშშ $-ს;
- ✓ უახლოეს ათწლეულში კი მარიკულტურა (სასარგებლო წყალმცენარეების, მოლუსკების, თევზებისა და სხვა ორგანიზმების მოშენება ზღვების სანაპიროზე), კაცობრიობას 50 მლნ. ტონა საკვებ პროდუქტს მისცემს.
- ✓ ოკეანე შთანთქავს ადამიანების საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის 30%-ს, თუმცა წარმოებული ნახშირორჟანგის მოცულობა გაცილებით მეტია და ეს ოკეანეს 26%- ით უზრდის მჟავიანობას, ვიდრე ეს ინდუსტრიამდელ პერიოდში იყო;
- ✓ საერთაშორისო წყლის ტრანსპორტის წლიური შემოსავლი 150 მლრდ. დოლარს აღემატება. საზღვაო ტრანსპორტი გამოირჩევა მაღალი დინამიკურობით და დაბალი თვითღირებულებით;

- ✓ მსოფლიო ოკეანის 40% „ძლიერ დაზარალებულია“ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად;

ოკეანის წყლის მჟავიანობის მომატება
მარჯნების გაუფერულებას იწვევს

- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით ნავთობის მოპოვება ხდება 500 მეტრ სიღრმეზე, რაც უკვე სცილდება კონტინენტურ შელფს და იწვევს „ზღვის” ნავთობის ფასის ზრდას. დადგენილია, რომ ოკეანეში ყოველწლიურად 1,5 მლნ ტონამდე ნავთობი იღვრება, მაშინ როცა 25 მლნ ტ ნავთობი სრულიად საკმარისია, რომ მთელი მსოფლიო ოკეანის ზედაპირი 0,1 მმ სისქის ნავთობის აპკით დაიფაროს;
- ✓ ოკეანის რესურსების აქტიურმა ათვისებამ „დემოგრაფიული ზეწოლის” გაძლიერება გამოიწვია. მოსახლეობის განსახლებამ სანაპირო ზოლში გადაიწია. 100-კილომეტრიან სანაპირო ზოლში 2,5 მილიარდი ადამიანია დღეს დასახლებული. ამას თუ დავამა-

ტებთ ტურისტებისა და რეკრეანტების რაოდენობას, გამოდის, რომ „სანაპირო" მოსახლეობა გაცილებით გაიზარდა. სანაპირო ზოლში ურბანული ფართობიც გაცილემით მეტია, ვიდრე შიდა რეგიონებში. მხოლოდ საზღვაო ტურიზმის (საკრუიზო ტურიზმი) შემოსავალი დაახლოებით 50 მილიარდი დოლარია.

ამოცანები:

ზღვები და ოკეანეები კაცობრიობის მემკვიდრეობითი საგანძურია და მათი ბედი ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე. სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავების, რატიფიცირებისა და დაცვის მექანიზმებში. თუ მდგომარეობა უკეთობისკენ არ შეიცვალა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ელის მსოფლიო ოკეანეს მომავალში:

მეტად მნიშვნელოვანია ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება-განვითარებისათვის დანერგვა, რაც მოცემული დროისთვის უკვე ამოქმედებულია.

მსოფლიო ოკეანე კოლოსალური ენერგიის წყაროა, რომელსაც ადამიანი ჯერ კიდევ ბოლომედე ვერ იყენებს. ამასთან, მიქცევა-მოქცევის, ოკეანური დინებების, ტალღების, ტემპერატურის გრადიენტის გამოყენება გარემოს თითქმის არ აყენებს ზიანს, ამიტომ მათი გამოყენება, როგორც ენერგიის ალტერნატიული წყაროების, მეტად მნიშვნელოვანია.

საქართველო

შავი ზღვა დედამიწის სხვა ზღვებისგან თავისი ნახევრადჩაკეტილობით, ნაკლები სიმლაშითა და მის სიღრმეში არსებული გოგირდწყალბადის შრით გამოირჩევა. ამ უნიკალური ზღვის დაბინძურებისგან დაცვა არა მხოლოდ შავიზღვისპირა ქვეყნების, არამედ მისი სიკეთით მოსარგებლე სხვა ქვეყნების პასუხისმგებლობაცაა.

ბოლო ათწლეულში შავი ზღვის დასაცავად არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა სხვადასხვა მასშტაბის სახელმწიფო ღონისძიებები, პროგრამები თუ პროექტები და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები. უმთავრესი მიღწევა იყო სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა ამ წამოწყებებში.

შავიზღვისპირა ქვეყნებში თევზჭერის პოლიტიკა უნდა შემუშავდეს კლიმატის ცვლილების თევზჭერაზე ზეგავლენის, თევზჭერის გარემოზე ზემოქმედებისა და ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემოს დეგრადაციის გამომწვევ ფაქტორთა გათვალისწინებით.

უნდა შემუშავდეს თევზჭერის დასაშვები ნორმებისა და ვადების რეგიონული სისტემა.

უნდა აიკრძალოს თევზჭერის არამდგრადი მეთოდები.

უნდა შემუშავდეს სახელმწიფო გეგმები შავი ზღვის დაბინძურების შესამცირებლად და აღსაკვეთად. დაბინძურების მასშტაბი უნდა შემცირდეს მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მეთოდების დანერგვის ხარჯზე.

სანაპირო ზოლის განვითარებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეკოლოგიური ღირებულებები.

უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად შავი ზღვის რესურსების დაცვის მიზნით და მეტი ზეგავლენა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

უნდა გაიზარდოს შავი ზღვის დაცული ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი.

უნდა შემუშავდეს ინვაზიურ სახეობათა გავრცელების აღმკვეთი სტრატეგიები.

საქართველოში 2020 წლისთვის დანერგილი იქნება თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და აღმოიფხვრება ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერის მავნე პრაქტიკა. უკვე მოქმედებს ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

მოიცავს:

- ✓ ბიომრავალფეროვნების საფრთხეებს: ჰაბიტატების დაკარგვა, ტყეების განადგურება, ფრაგმენტაცია, ინვაზიური სახეობები და ჭარბი ექსპლუატაცია (გამოწვეული წარმოების და მოხმარების პრაქტიკის გამო, არამდგრადი ტექნოლოგიები და ა. შ.);
- ✓ გადაშენების საფრთხეს: გადაშენების პირას მყოფი სახეობების გადაშენებას, რაც სამუდამოდ ამ სახეობის გარეშე დარჩენას ნიშნავს;
- ✓ ნიადაგს, მის ჩამოყალიბებას და სტრუქტურას, გაუდაბურებსა, გაუდაბნოებასა და მათი დაძლევის ღონისძიებებს;
- ✓ ადამიანი-ბუნების კავშირებს, ეკოსისტემების სერვისებს (კულტურული, მხარდამჭერი, რეგულაციების, უზრუნველყოფის);
- ✓ ევოლუციასა და გენეტიკას, გენეტიკურ რესურსებს.

მიზნის აქტუალობა:

ბიომრავალფეროვნება დედამიწაზე გავრცელებული ყველა ცოცხალი ორგანიზმის ერთობაა. ის მოიცავს გენების, სახეობებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას. ბიომრავალფეროვნების თითოეული დონე უმნიშვნელოვანესია, რადგან მათი სრულფასოვანი ფუნქციონირება ჩვენ სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანესი საჭიროებებით უზრუნველგვყოფს.

ბუნებაში თითოეულ კომპონენტს საკუთარი ფუნქცია გააჩნია, შესაბამისად, სხვადასხვა კომპონენტების არსებობა უმნიშვნელოვანესია ეკოსისტემების გამართული ფუნქციონირებისთვის. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა პროცესის მოწესრიგებაში ბიომრავალფეროვნება უდიდეს როლს ასრულებს. ხშირ შემთხვევაში ეკოსისტემიდან მნიშვნელოვანი სახეობების ამოვარდნა ეკოსისტემური ფუნქციების მოშლას იწვევს, კერძოდ, იწყება გადაშენების ჯაჭვური პროცესები, დარჩენილ გაღარიბებულ ფლორასა და ფაუნას კი პირვანდელი ფუნქციის შესრულება უჭირს. იგი დიდ როლს ასრულებს ისეთი ბუნებრივი რესურსების წარმოქმნასა და რაოდენობის მოწესრიგებაში, როგორიცაა: წყალი, საკვები, მედიკამენტები და სხვა.

ბიომრავალფეროვნებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ისეთი ბუნებრივი სერვისის მუშაობის მოწესრიგებაში, როგორიცაა: ეროზიული პროცესები და ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის ცვლილება, ჰაერისა და წყლის წმენდა, ნარჩენების დაშლა, მავნებლების კონტროლი და სხვა.

ტყეებს ჩვენი პლანეტზე ზედაპირის 30% უკავია. ისინი არა მხოლოდ სასურსათო პრობლემას, უსაფრ-

თხოებასა და თავშესაფარს უზრუნველყოფენ, არამედ უდიდეს როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და აბორიგენი მოსახლეობის საცხოვრებელს წარმოადგენენ.

ყოველწლიურად დედამიწაზე 13 მლნ ჰა ტყე იჩეხება, ხოლო მიწების მუდმივმა დეგრადაციამ არიდულ ზონებში 3.6. მლრდ ჰა მიწების გაუდაბნაოება გამოიწვია.

ადამიანის საქმიანობის შედეგად ტყეების გაჩეხვა და გაუდაბნოება, ასევე კლიმატის ცვლილება სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად და უარყოფით გავლენას ახდენს სიღარიბესთან მებრძოლი მილიონობით ადამიანის ცხოვრებაზე.



ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები

ფაქტები და ციფრები:

- ✓ დღეისათვის მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების 36 ცხელი წერტილია გამოყოფილი. აღნიშნული ტერიტორიების შერჩევა ორი კრიტერიუმით ხდება: 1. რამდენად მაღალია სახეობრივი მრავალფეროვნება მოცემულ ტერიტორიაზე; 2. რამდენად დიდია არსებული სახეობების წინაშე მდგარი საფრთხეები;
- ✓ დაახლოებით, 1,6 მლრდ ადამიანი, მათ შორის 2000-მდე აბორიგენი მოსახლეობა, სიცოცხლისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს ტყიდან მოიპოვებს;
- ✓ ტყეებში ხმელეთის ცხოველთა, მცენარეთა და მწერების სახეობების 80%-ზე მეტი ბინადრობს;

ბოლო 25 წლის მანძილზე ველური ბუნების 10%-ია განადგურებული

- ✓ 2.6 მლრდ ადამიანი პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 52% ზომიერად ან ძლიერ დეგრადირებულია;
- ✓ მიწების დეგრადაცია უარყოფით გავლენას ახდენს 1.5 მლრდ ადამიანზე;
- ✓ გვალვებისა და გაუდაბნოების შედეგად ყოველ წელს 12 მლნ ჰა ანუ წუთში 23 ჰა მიწა იკარგება. მათზე, დაახლოებით, 20 მლნ ტონა მარცვლეული მოვიდოდა;
- ✓ მიწების დეგრადაცია პირდაპირ მოქმედებს მსოფლიო ღარიბი მოსახლეობის 74%-ზე;
- ✓ ცხოველთა ცნობილი 8300 სახეობიდან 8% გადაშენდა და 22% გადაშენების პირასაა;
- ✓ ადამიანის რაციონის 80%-ზე მეტი მცენარეული საკვებისგან შედგება. კალორიების 60 %-ს ადამიანი მხოლოდ 5 მარცვლეული კულტურისგან იღებს;
- ✓ მიკროორგანიზმები დ უხერხემლოები უდიდეს როლს ასრულებენ ეკოსისტემებში, მაგრამ მათი მნიშვნელობა დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი და აღიარებული.

ამოცანები:

2030 წლისთვის ხელი უნდა შეუწყონ ყველა სახის ტყის მდგრად მართვას, გაუდაბნოების შეჩერებას, დეგრადირებადი ტყის აღდგენას, ტყის ხელოვნურ და ბუნებრივ განახლებას.

ეკოსისტემების, მათი სერვისების, ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწე-

ბის კონსერვაცია, აღდგენა და მდგრადი გამოყენება;

ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, გაუდაბნოების შეჩერება, დეგრადირებადი ტყეების აღდგენა, ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლება;

მთის ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის უზრუნველყოფა და ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება;

ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შემცირება და გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობების დაცვა, მათი გადაშენების თავიდან აცილება.

ბრძოლა გაუდაბნოების წინააღმდეგ, დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, მათ შორის – გაუდაბნოებით, გვალვითა და წყალდიდობებით და მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა მსოფლიოში 2030 წლისთვის.

საქართველო

საქართველო აღნიშნული 34 წერტილიდან ერთ-ერთია, ანუ ჩვენი ქვეყანა ხასიათდება ბიომრავალფეროვნების მაღალი მაჩვენებლითა და მის წინაშე მდგარი საფრთხეების სიმწვავით.

მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე

მოიცავს:

- ✓ მშვიდობისმოყვარე და ღია საზოგადოებების თანამშრომლობას მდგრადი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით;
- ✓ სამთავრობო საქმიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- ✓ სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას;
- ✓ კორუფციისგან თავისუფალი მთავრობისა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

ყველა მათაგნი მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ფუნდამენტური პრინციპებია. აღნიშნული პრინციპების განვითარება მეტად მნიშვნელოვანია, რათა განმტკიცდეს კანონის უზენაესობა და ჩამოყალიბდეს სამართლიანი, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები.

მიზნის აქტუალობა:

ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ძალადობრივი კონფლიქტების რიცხვი, ხოლო მკვლელობათა რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა. ასევე მსოფლიოში ბევრი მოქალაქისთვის გახდა ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება.

სამოქალაქო საზოგადოებაში მსხვერპლის რიცხვის გაზრდის მიზეზი მაღალი ინტენსივობის შეირაღებული კონფლიქტებია. მშვიდობის განმტკიცების საქმეში პროგრესი და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ასევე ფართო მონაწილეობაზე დაფუძნებული ეფექტური და ანგარიშვალდებული დაწესებულებების შექმნა ჯერ კიდევ რჩება მწვავე პრობლემად ბევრ ქვეყანასა და რეგიონში.

2015 წელს მთელ მსოფლიოში განზრახ მკვლელობათა რიცხვი ყოველ 100 000 კაცზე 5.2 – 6.7 – ს შეადგენდა. მართალია, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვლელობების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებში ადამიანები ჯერაც იმყოფებიან მაღალი რისკის ქვეშ, აღმოჩნდნენ მკვლელობების მსხვერპლნი.

მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ძალადობის სხვადასხვა ფორმა ბავშვებთან მიმართებაში. მათ შორის ფიზიკური დასჯა და ფსიქოლოგიური აგრესია ხშირად გამოიყენება დისციპლინის დასამყარებლად. 2005-2016 წლებში მსოფლიოს 76 ქვეყანაში (რომელთა უმეტესობა განვითარებადია) 1-დან 14 წლის ასაკის ბავშვებს შორის 10-დან, დაახლოებით, 8 ბავშვი ამა თუ იმ ფორმით განიცდიდა ბულინგს.

მსოფლიოს ქვეყნებმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ადამიანებით ვაჭრობის საქმეში, რაზეც მეტყველებს ბოლო 10 წლის სტატისტიკა. თუმცა ეს მახინჯი პროცესი ჯერ კიდევ შეინიშნება. 2014 წელს ამ მიმართულებით გამოვლენილ მსხვერპლთა შორის გოგონები და ქალები გაცილებით ჭარბობდა ვაჟებისა და მამაკაცების რიცხვს. ამავე წელს გამოვლენილი მსხვერპლის 28% ბავშვებია, რომელთა შორის 20% გოგონაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებით ვაჭრობის სფეროში შემცირდა მსხვერპლის გამოყენება სექსუალური მიზნით – ანუ სექსუალური ტრეფიკინგი და გაიზარდა მათი, როგორც სამუშაო ძალად გამოყენების შემთხვევები – ანუ შრომითი ტრეფიკინგი.

2011 წელს კონფლიქტურ და საომარ ვითარებაში მყოფ ქვეყნებში ბავშვების, დაახლოებით, 50%-ს ანუ 28,5 მლნ – ს დაწყებითი სკოლის დატოვება მოუწია, რაც თვალნათლივ ცხადყოფს არასტაბილური საზოგადოების გავლენას მდგრადი მიზნების, კერძოდ, ხელმისაწვდომი განათლების შესრულებაზე.



მსოფლიოს ქვეყნები გლობალური მშვიდობის ინდექსის მიხედვით
რუკის ლეგენდა: *მწვანედ დაფერილია ყველაზე მეტად მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, წითლად კი – ნაკლებად მშვიდობისმოყვარე*

ფაქტები და ციფრები:

- ✓ 2011 წელს კონფლიქტურ და საომარ ვითარებაში მყოფ ქვეყნებში ბავშვების, დაახლოებით, 50%-ს ანუ 28,5 მლნ – ს დაწყებითი სკოლის დატოვება მოუწია, რაც თვალნათლივ ცხადყოფს არასტაბილური საზოგადოების გავლენას მდგრადი განვითარების მიზნებზე;
- ✓ სასმართლო ორგანოები და პოლიცია ყველაზე მეტად კორუმპირებული ინსტიტუტებია სხვა დაწესებულებებთან შედარებით;
- ✓ კორუფცია, მექრთამეობა, მითვისება და გადასახადების დამალვა განვითარებად ქვეყნებს, დაახლოებით, 1.26 ტრლნ აშშ $ უჯდებათ. ამ თანხის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა, სულ მცირე, 6 წლის მანძილზე გაუმჯობესებულიყო იმ ადამიანთა ცხოვრების დონე, რომელთა დღიური შემოსავალიც 1.25 აშშ $-ია.

ამოცანები:

- ✓ ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან;
- ✓ ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა;
- ✓ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეუ-

ლი ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა;

- ✓ 2030 წლისათვის უკანონო იარაღისა და ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული ქონების დაბრუნების განმტკიცება და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლა;
- ✓ კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება;
- ✓ ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე;
- ✓ ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უზრუნველყოფა;
- ✓ გლობალური მმართველობის ინსტიტუციებში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის გაფართოება და განმტკიცება;
- ✓ 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის სამართლებრივი სტატუსის, მათ შორის – დაბადების რეგისტრაციის, უზრუნველყოფა;
- ✓ საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველო

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სამხედრო დაპირისპირების შედეგად მიღებული ორი გაყინული

კონფლიქტი: კონფლიქტი აფხაზეთში (სადაც აქტიური სამხედრო დაპირისპირება 1993 წლის შემოდგომაზე დასრულდა) და კონფლიქტი სამაჩაბლოს, ე.წ. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე (სადაც აქტიური სამხედრო დაპირისპირება დასრულდა 1992 წლის ზაფხულში).

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა მთელმა რიგმა წინააღმდეგობებმა კავკასიაში კონფლიქტების პროვოცირება გამოიწვია. ამ კონფლიქტების ნაწილი, მათ შორის – კონფლიქტი აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტები შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა. ცეცხლის შეწყვეტიდან დღემდე, ერთი მხრივ, საქართველოსა და აფხაზეთს, მეორე მხრივ, საქართველოსა და ცხინვალს შორის ურთიერთობა შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც „გაყინული კონფლიქტი" ან „მყიფე უძრაობის" მდგომარეობა. ხშირად მოლაპარაკებები დიალოგიდან ჩიხში ექცეოდა, დროდადრო კი წყდებოდა დაძაბულობის გამწვავების გამო (1998 წლის მაისსა, 2001 წლის ოქტომბერში და 2004 წლის ივლისში ლამის ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა).

ხელი მოეწერა მთელ რიგ შეთანხმებას, მაგრამ მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შეეხება მხარეთა დაპირისპირების არსებით მიზეზებს. ამ კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებული ყველა პოლიტიკური თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ისევე როგორც ამ კონფლიქტების პრაქტიკულად შემსწავლელი ყველა ექსპერტი, ცალსახად აღნიშნავს, რომ არსებული გაყინული კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესი, რომელიც მოლაპარაკების ფორმატში მიმდინარეობს, ღრმა ჩიხშია მოქცეული და ჯერჯერობით მათი

მოგვარების ნებისმიერ პერსპექტივაზე საუბარი ნაადრევია.

საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე შეავიწროოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაავრცელოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების გავლენა. მთელი ყურადღება გადატანილია საერთაშორისო ვექტორზე.

მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

მოიცავს:

- ✓ მსოფლიოს ქვეყნებს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს.

მიზნის აქტუალობა:

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება წარმოუდგენელია მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გარეშე გლობალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე. ეს ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს საერთო პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლებიც ორიენტირებულია კაცობრიობისა და ჩვენი პლანეტის ინტერესების დაკმაყოფილებაზე.

მდგრადი განვითარება და მისი მიზნების შესრულება დემოკრატიული, სოციალური სისტემების თავისებური გარანტია, რომელშიც ყველას შეუძლია მონაწილეობა, ხოლო ეკონომიკური სისტემა დამოკიდებულია საზოგადოების კეთილდღეობასა და გარემოზე, ასევე ანგარიში ეწევა სხვადასხვა კულტურათა უნიკალურო-

ბასა და ინდივიდუალურობას. იქმნება ხელშემწყობი პირობები ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კულტურათშორისი დიალოგისათვის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, ბუნებრივი რესურსების დაცვისათვის, კატასტროფებისაგან თავის არიდებისათვის, სიღარიბის დაძლევისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებისათვის.

ფაქტები და ციფრები:

- ✓ 2014 წელს მდგრადი მიზნების განხორციელებისათვის ოფიციალური დახმარებების მოცულობამ ისტორიის განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს 135.2 მლრდ აშშ $-ს მიაღწია.
- ✓ განვიათარებადი ქვეყნების საიმპორტო პროდუქციის 79% განვითარებულ ქვეყნებში დაბეგვრის გარეშე შედის;
- ✓ ბოლო 4 წლის მანძილზე აფრიკის ქვეყნებში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი.
- ✓ მსოფლიო ახალგაზრდობის თითქმის 30% „კომპიუტერული თაობის“ წარმომადგენელია და ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში;
- ✓ დაახლოებით, 4 მლრდ ადამიანი, რომელთა 90 % განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ინტერნეტით.

ამოცანები:

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით მოითხოვს კოორდინაციას: ფინანსები, განვითარება, გარემოს დაცვა, ტექნოლოგიები, ვაჭრობა,მონაცემები, ა.შ.; ასევე, საჭიროა მრავალი მსოფლიო პარტნიორობის ჩამოყალიბება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის: მთავრობა, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა. ასევე მეტად მნიშვნელოვანია დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობითი პლატფორმის არსებობა განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის, რათა მოხდეს მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ცოდნის გაზიარება. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისთვის საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ჩართულობა და ტექნოლოგიები.

მდგარდი განვითარების მიზნების რეალიზაციისათვის აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება, რათა მოხდეს კერძო კომპანიების ტრილიონობითი დოლარის მობილიზაცია, გადამისამართება და გამოთავისუფლება.

აუცილებელია გრძელვადიანი, მათ შორის – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება განვითარებადი ქვეყნების ისეთ სექტორებში, როგორიცაა მდგრადი ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

სახელმწიფო სექტორმა უნდა განსაზღვროს მკვეთრი და მიზნობრივი მიმართულებები.

ინვესტიციების მისაზიდად და მდგრადი განვითარების გასამყარებლად აუცილებელია შემოწმებისა და კონტროლის მექანიზმების, სამართლებრივი ნორმებისა და სტიმულთა სისტემის მოდერნიზაცია.

აუცილებელია გამყარდეს ეროვნული ზედამხედველობითი მექანიზმები.

5. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი საქართველოში

მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შიდა პრიორიტეტები და მოხდა რიგი ამოცანების საქართველოსთვის მისადაგება. დოკუმენტის კომპლექსურობის გათვალისწინებით თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაწერილია დროში და განსაზღვრულია საბაზისო (2015 წლის მონაცემები) და სამიზნე ინდიკატორები (2030 წლისთვის). აღნიშნული მიდგომა უნიკალური შესაძლებლობაა მომავალში პროგრესის გაზომვისა და მიზნის შესრულების შეფასების კუთხით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მტკიცებულებებითა და ინფორმაციით გამყარებული სექტორული პოლიტიკის დაგეგმვისათვის.

მთავრობის მიერ მომდევნო წლებში დაგეგმილი და განსახორციელებელი აქტივობებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების თანხვედრის დადგენის მიზნით განისაზღვრა ურთიერთკავშირი შიდა პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები ასევე ინტეგრირებულია საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა მთავრობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები შემდეგ ეროვნულ დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- ✓ შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ;
- ✓ საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი;
- ✓ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- ✓ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020;
- ✓ საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა.

ზემოაღნიშნული პროცესის განხორციელების შედეგად ამ ეტაპზე საქართველოს ნაციონალიზებული აქვს 17-ივე მიზანი, 99 ამოცანა და 200-ზე მეტი ინდიკატორი. თუმცა, საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს 169 სამიზნის ნაციონალიზებას ეტაპობრივად 2030 წლამდე.

იდენტიფიცირდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ✓ სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
- ✓ ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება;
- ✓ თანასწორობის ხელშეწყობა;
- ✓ ქალაქების მდგრადობა;
- ✓ კლიმატური ცვლილებების დამარცხება;
- ✓ ოკეანეებისა და ტყეების დაცვა;
- ✓ ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

საქართველოსთვის ამ პრიორიტეტული მიმრათულებების განხორციელება უნდა მოხდეს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- ✓ განათლება;
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა;
- ✓ სოფლის მეურნეობა;
- ✓ გენდერი;
- ✓ გარემოს დაცვა;
- ✓ ღია მმართველობა;
- ✓ ანტიკორუფციული პოლიტიკა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები საქართველოს მთავრობის შიდა რეფორმების განუყოფელი ნაწილია. მიზნების ნაციონალიზაციის კოორდინაციას, ასევე შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. საბჭოს სამდივნოს წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური.

5.1. საერთაშორისო მონიტორინგი

მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომლითაც საქართველოს პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ 2030 წლის დღის წესრიგის შესრულების პროცესში. კერძოდ, ეროვნულ დოკუმენტში ასახულია გლობალური და ნაციონალიზებული ამოცანები, გლობალური და საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორები, რომელთა მიღწევა საქართველომ

2030 წლამდე უნდა შეძლოს და საბაზისო ინდიკატორი, რომელთან მიმართებაშიც გაიზომება თითოეული ამოცანის შესრულება. ამასთან, ყოველი ამოცანის შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი წამყვანი დაწესებულება. მატრიცის თითოეული პუნქტის შესაბამისად უნდა მოხდეს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგი.

მიზნების შესრულების მონიტორინგისა და პროცესის ეფექტიანად კოორდინაციისთვის შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო და ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი: სოციალური ჩართულობის, ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული მმართველობისა და მდგრადი ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფები. საბჭოს სამდივნოს ფუნქციას მთავრობის ადმინისტრაცია ასრულებს. საბჭოს ფუნქცია ძირითადად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაა, ხოლო სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ თემატურ მიმართულებებზე და კოორდინაციას გაუწევენ მონაწილე უწყებების მუშაობას მონაცემთა შეგროვების და მდგრადი განვითარების მიზნების, ამოცანების ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრაციის პროცესს. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ხოლო თანათავმჯდომარეა გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში. ამასთან, საბჭოს მუშაობაში არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობაც არის გათვალისწინებული, რაც ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

გლობალურ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის განხილვისა და ზედამხედველობის

ფუნქცია გაეროს მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს მიენიჭა (HLFP), რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. ფორუმზე პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში (VNR) საქართველომ 2016 წელს წარადგინა. თუმცა, მაშინ ანგარიში მდგრადი განვითარების მისაღწევად საქართველოს ზოგად მისწრაფებებს, მიზნების კოორდინაციის და ნაციონალიზაციის ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავების პროცესს და სამომავლო გეგმებს ასახავდა. შემდეგი ანგარიში, რომელშიც მდგრადი განვითარების ყველა მიზნის და შესაბამისი ინდიკატორების განხორციელების დეტალური პროგრესი იყო ასახული, საქართველომ 2019 წელს წარუდგინა მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლიაძე მაია, კიოტოს ოქმი: ვინ გადაიხდის ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაბინძურებისთვის? – http://mastsavlebeli.ge/?p=1254
2. ბლიაძე მაია, რა არის მწვანე ეკონომიკა? – http://mastsavlebeli.ge/?p=19149
3. ბლიაძე მაია, ენერგიის ალტერნატიული წყაროები – http://mastsavlebeli.ge/?p=1367
4. ბლიაძე მ., და სხვ. ელექტრონული სახელმძღვანელო „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 4 ნაწილი, https://vet.ge/ge/resources/educational-resources?category=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98&q&page=1&fbclid=IwAR1lNhGLNw0BIvfvDG2dR_HL8bFAB574f_VrrnbSdhEK6j_46QnNr5Cb0XA
5. ბითაძე მაია, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი – https://biodivers-southcaucasus.org/uploads/files/1-merged(1).pdf
6. ენერგიის განახლებადი წყაროები – https://www.isoconsulting.ge/single-post/
7. მდგრადი განვითარების მიზნები – https://sdg.gov.ge/goals-all
8. მდგრადი განვითარების ისტორია – https://sustainability.ge/sustainable-development-history/
9. როგორ დავზოგოთ ელექტროენერგია – https://agora.ge/new/11244-rogor-davzogot-eleqtro-energia
10. https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en
11. https://www.sustainability.ge/business-sustainability/
12. https://www.mfe.govt.nz/climate-change/why-climate-change-matters/global-response/paris-agreement

13. https://sustainabledevelopment.un.org/rio0
14. https://www.un.org/en/conferences/environment/johannesburg
15. https://www.unglobalcompact.org/
16. https://www.cbd.int/abs/about/
17. https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/Millennium.aspx
18. https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf?fbclid=IwAR3VtkJ57kTjZpj8N0SLkTifdxahXzPdGxLSVCOu0S4UNECYjDN_YBOdTOE
19. https://www.clubofrome.org/publication/the-limits-to-growth/
20. https://sustainability.ge/sustainable-development-history/

სასარგებლო ბმულები:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო – https://un.org/
2. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო – https://www.un.org/ecosoc/en/
3. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია – https://unctad.org/
4. გაეროს გარემოს განვითარების პროგრამა – https://www.undp.org/
5. გაეროს სასურსათო პროგრამა – https://www.wfp.org/
6. გაეროს ბავშვთა ფონდი – იუნისეფი – https://www.unicef.org/
7. გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – https://www.ilo.org/global/lang--en/index.htm
8. გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია – https://www.ifad.org/en/
9. გაეროს გლობალური შეთანხმება – https://www.unglobalcompact.org/
10. გაეროს მოსახლეობის ფონდი – https://www.unfpa.org/

https://georgia.unfpa.org/
11. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) – https://www.unhcr.org/
12. ევროკავშირი – https://european-union.europa.eu/select-language?destination=/node/1
13. იუნესკო – https://www.unesco.org/en
14. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფი – https://www.ipcc.ch/
15. მსოფლიო ბანკი – https://www.worldbank.org/en/home
16. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) – https://www.unwto.org/
17. საერთაშორისო სავალუტო ფონდი – https://www.imf.org/en/Home
18. საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი – https://www.itu.int/en/Pages/default.aspx
19. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – https://www.who.int/